# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 23 სექტემბერი 2008 №219 (3443) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნერვიული სიმშვიდე

ჩელსისა და მანჩესტერის ფერად-ფერადი ამბები

7



## როლანდ ერაძეს მხარმა ოლიმპიური ვერცხლი დააკარგვინა

ისლანდიელთა ქართველი მეკარე სკოლაში მიდის

12



## ჩაგვხედონ რუსებმა თვალებში

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ხვალ დიდი მატჩი აქვს

13

# ახალი ქართული მისამართები: სოფლები კარვებში და ეროვნულიდან ეროვნულში

## ჰექტორ რაულ კუპერმა დევნილები მოინახულა და 18 ქართველი შეკრიბა



## გორი, კარვების ქალაქი

# ორჯერ წინ წასული ორჯერ მოგვაბრუნეს

## უნგრეთი U17 2:2 საქართველო U17



ქართველთაგან ორივე გოლი ირაკლი შეყილაძემ (№10) გაიტანა

# ექტორ რაულ კუპერი: მე და საქართველო გავიმარჯვებთ





გაგიკო კეთილაძის ფოტოები

# სხვა ქვეყნის მოქალაქე ჩვენი ქვეყნის კარვების ქალაქში

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ეროვნული გუნდის მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი გუშინ გორს, უფრო სწორად კი, იქ მოწყობილ „კარვების ქალაქს" ესტუმრნენ და შიდა ქართლში საომარი მოქმედებებისას დაზარალებულები მოინახულეს...

დაითრგუნები, გული მოგიკვდება, სისხლი აგიდუღდება, კაცი იქაურ სურათს რომ ნახავ... აქეთ „წითელი ჯვრის" მანქანები და სახელდახელოდ გაწყობილი სამზარეულო, იქით დანომრილი კარვები და ზედ ცარცით მიწერილი „მისამართები" — აჩაბეთი, ქურთა, თამარაშენი, ხეითი, ტყვიავი, ტირძნისი... ამათ შუა იქვე ტაშტებში ჩაწყობილი სარეცხი, დადარდიანებული დევნილები და მათი სევდიანი თვალები, რომლებიც ერთხელ ნახვის შემდეგ აღარც დაგავიწყდება...

აი, რა დახვდა გორში არგენტინელ ექტორ რაულ კუპერს, ნოდარ ახალკაცთან ერთად დევნილთა მოსანახულებლად, მხარდასაჭერად და გასამხნევებლად რომ შეაბიჯა „კარვების ქალაქში", საიდანაც, ცხადია, ძალიან, ძალიან შეწუხებული გამოვიდა...

ისე, სხვანაირადაც როგორ უნდა ყოფილიყო?!

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო აქ ჩამოსვლა და დევნილებისთვის თანაგრძნობის გამოხატვა. მე არ ვარ არც საქართველოს მოქალაქე და არც ეროვნებით ქართველი, მაგრამ მე ვცხოვრობ და ვმუშაობ საქართველოში და ვაკეთებ ქართულ საქმეს. ნანახით დათრგუნული ვარ, თუმცა იმედი მაქვს, ყველაფერი მალე და, რაც მთავარია, საქართველოსთვის კეთილად დასრულდება და ჩვენ ყველანი ერთად გამარჯვებულები დავრჩებით — თქვა „კარვების ქალაქში" ექტორ რაულ კუპერმა და ყუთებიდან ის საჩუქრები ამოალაგა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დევნილებს რომ ჩაუტანა.

— ცხადია, ეს არ არის ჩვენი ერთჯერადი აქცია. ფეხბურთის ფედერაცია მაქსიმალურად ეცდება, ომის შედეგად დაზარალებულთ ყურადღება არ მოაკლოს. კარგად გვესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათთვის ჩვენი მხარდაჭერა. დღეს აქ მყოფთ ჩვენი მოკრძალებული საჩუქრები ჩამოვუტანეთ და მათ დახმარებას მომავალშიც განვაგრძობთ. დაგეგმილი გვაქვს, საქართველოს ნაკრების უახლოეს საშინაო მატჩებზე დევნილი ბავშვები ორგანიზებულად ჩავიყვანოთ თბილისში, იქნებ ოდნავ მაინც გავახალისოთ და რამდენიმე საათით დავავიწყოთ ის საშინელება, რაც მათ ნახეს — ეს უკვე ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თქვა, დევნილთა გასაჭირს რომ ისმენდა და წუხდა.

ბავშვებმა საჩუქრებით გაიხარეს, კარვებიდან მათი მშობლები, ბებია-ბაბუებიც გამოვიდნენ, სტუმრებს მიესალმნენ, მადლობა გადაუხადეს... გულზე კი უდიდესი დარდი აწევთ... ჩვენ მათ გვერდით ვართ.

**კობა ინასარიძე**
*გორიდან*



გაგიკო კეთილაძის ფოტო

**გერმანია**
II ბუნდესლიგა
ფიურტი 0:1 კაიზერსლაუტერნი

**დანია**
სუპერლიგა
ბრიონდბიუ 2:1 ესბიერგი

**იტალია**
სერია C1/A
სამბენედეტეზე 0:0 ჩეზენა

**შვედეთი**
ალსვენსკა
ტრელებორგი 2:0 სუნდსვალი
ჰალმსტადი 1:2 იორებრო
სუპერეტა
იონკოპინგი 2:0 ენჩიოპინგი

**ჩეხეთი**
გამბრინუსლიგა
სპარტა 0:0 ტეპლიცე
ზლინი 0:3 სლავია

**ნორვეგია**
ტიპელიგა
ლილესტრიომი 1:1 ბრანი

**პორტუგალია**
სუპერლიგა
გიმარაეში 0:2 ნასიონალი
ფერეირა 3:4 ბენფიკა

**სლოვაკეთი**
I ლიგა
ბ. ბისტრიცა 1:0 ჟილინა

**ინგლისი**
კონფერენსი
კეტერინგი 0:1 ბარტონი

**რუმინეთი**
I დივიზიონი
ბრაშოვი 0:0 რაპიდი
უნირეა 1:2 უნივერსიტატია
დინამო 2:0 პოლიტეხნიკა

**თურქეთი**
II დივიზიონი
ერჟიესი 1:1 საქარია

**ირლანდია**
I დივიზიონი
შელბურნი 0:0 უოტერფორდი

**კვიპროსი**
I დივიზიონი
ალკი 1:3 აპოპი
ანორთოსისი 2:1 ეთნიკოსი
აპოლონი — ომონია 0:2-ზე შეწყდა

**ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი**
შესარჩევი ეტაპი
პოლონეთი 1:0 ჩერნოგორია
ჩეხეთი 2:1 ბოსნია
აზერბაიჯანი 3:1 ბულგარეთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებენ „ლოკომოტივის" მწვრთნელ სოსო სირაძეს
**მამის**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები თანაგრძნობას ვუცხადებთ „ლოკომოტივის" მწვრთნელ სოსო სირაძეს
**მამის**
გარდაცვალების გამო

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 2 ტური



„სიონი“ — „ზესტაფონი“. სანდრო იაშვილმა (№10) ბოიომო ფრიდოლინის უხეშობა ველარ მოითმინა



თბილისის „დინამომ“ ცხინვალის „სპარტაკს“ იოლად მოუგო

მესხეთი 1:1 ოლიმპი
მგლები 4:1 ბორჯომი
სიონი 0:1 ზესტაფონი
დინამო 4:1 სპარტაკი
ვიტ ჯორჯია 2:0 გაგრა
*ლოკომოტივი ისვენებდა*

# მივესალმოთ ასეთ გოლებს
## ზესტაფონი ბოლნისში დაფასდა

**15 გოლი,** აქედან ერთი პენალტით და არცერთი გაძევება — მეორე ტურის მოკლე სტატისტიკა ასეთია. შეხედეთ ცხრილს: ზუსტად ის სამეული წამოჭიმულა კენწეროში, რომლებმაც წინა სეზონიც აქ დაამთავრეს.

ახლა ორი ქულადაუკარგავი გუნდია ჩემპიონატში — „ვიტ ჯორჯია“ და „ლოკომოტივი“, რომელმაც ეს ტური გამოტოვა. ქულააულებელიც ორია — „ბორჯომი“ და „სპარტაკი“.

ხუთიდან ორ მატჩში ბოლო წუთებზე გადაწყდა შეხვედრის ბედი, ოღონდ აქედან ერთი გამარჯვების გოლი აღმოჩნდა, ერთი კი გამთანაბრებელი.

ტურის ცენტრალური თამაში ბოლნისში იყო, სადაც მოყოჩაღებულმა „სიონმა“ ბევრი პრობლემა შეუქმნა „ზესტაფონს“, თუმც ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ ფეროელებმა გაიტანეს: მოედანზე იმწუთის შესულმა გიორგი ხიდეშელმა ბოლნისელთა მეკარე მინდია ბობღიაშვილის მარცხიანად მოგერიებულ ბურთს კარში მიუჩინა ადგილი.

თემურ მახარაძის გუნდი ორი ქვემოქართლური სტუმრობიდან კმაყოფილი დაბრუნდა შინ, რაკილა 4 ქულა აიღო. შეგახსენებთ, წინა ტურში იმერლებმა რუსთავის „ოლიმპთან“ უგოლო ფრე ითამაშეს.

ერთიც ავღნიშნოთ, რომ მახარაძე კვლავ გრიგოლ ჭანტურიას ენდობა, ახალგაზრდა მეკარე როინ კვასხვაძე კი სათადარიგოებში ზის.

„თემურ სტეფანიაზე“ გამართულ მატჩს საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი და სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც დაესწრნენ.

და არ ვახსენოთ სანდრო იაშვილის დაბრუნება ეროვნულ ჩემპიონატში? შვეიცარიაში კარიერააუწყობელმა სანდრომ „სიონის“ მაისურით 24 წუთი ითამაშა და უნდა ითქვას, ხიბლი შემატა თავისიანთა შეტევებს.

რუსთავის „ოლიმპს“ თამაშის მიხედვით მოსაგები ჰქონდა ახალციხეში, მასპინძელ „მესხეთზე“ უკეთ ირჯებოდა, თუმც კინაღამ იქით წააგო. მესხთა ბორის გონჩაროვის ლამაზ გოლს ბოლოს რუსთაველმა თენგიზ ჩიკვილაძემ უფრო ლამაზად უპასუხა — მაკრატელათი გაიტანა.

კარგი შემადგენლობა ჰყავს „ოლიმპს“, წარმოიდგინეთ, გოგი ფიფია და დენის დობროვოლსკი სკამზე ისხდნენ — მოკლედ, ჰაერზე არ იძახიან, ხვიჩა ქასრაშვილის გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტიაო.

ცხრილის სათავეში „ვიტ ჯორჯიაა“ — გუნდი, რომელმაც წლეულს ღირსეულად ითამაშა ევროტურნირებზე. ვიტელებმა პირველი ტურის სენსაცია „გაგრა“ ისტუმრეს და „დინამოს“ მიერ დაშვებული შეცდომები არ გაიმეორეს.

მართალია, გაგრელთა ფორვარდმა ზვიად მეტრეველმა 1:0-ზე ურეალურესი შანსი გაანიავა, მაგრამ მასპინძლებს სოლიდური უპირატესობა ჰქონდათ და ცოდო იქნებოდა, ვერ მოეგოთ.

წინა სეზონის მერე უმაღლესლიგელებიდან ყველაზე შესამჩნევად „მგლები“ დასუსტდა, მაგრამ იმდენი ძალა კი შერჩენია, რომ ასევე დაუძლურებულ „ბორჯომს“ ერთი ამოსუნთქვით მოერიოს. ზუგდიდელებს გია თოდუამ ულიდერა და ჰეთ თრიქი უსახსოვრა ხეობელებს, რითაც ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა. ისიც ვთქვათ, რომ თოდუამ ეს სამი გოლი 33-წუთიან მონაკვეთში ჩაატია.

და ჩემპიონი: „დინამომ“ იყნოსა, რომ თუ ისევ ნება-ნება ითამაშებდა, „სპარტაკიც“ „გაგრასავით“ მოექცეოდა, ამიტომაც თავიდანვე სწრაფ შეტევებზე გადავიდა და ცხინვალელები უშანსოდ დატოვა.

თამაშზე რა გითხრათ, აი, გოლები კი კარგი გავიდა: გიორგი მერებაშვილმა და ილია სპასოევიჩმა თითქმის ტყუპისცალივით ბურთები შეაგდეს ინდივიდუალური გარღვევებით, ლამაზი იყო თორნიკე თარხნიშვილის შორეული გასროლილიც...

კიდევ რა იყო გამოსარჩევი? ტურის ხუთიდან ოთხ მატჩში შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს და კიდევ, მაყურებელთა დასწრების საამსეზონო რეკორდიც ვნახეთ — საკვირველია, მაგრამ რეკორდი 2 000 გულშემატკივარია.

აი, ასე დააფასეს ბოლნისელებმა „ზესტაფონის“ სტუმრობა...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| მგლები | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| გაგრა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ოლიმპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| მესხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ცხინვალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| ბორჯომი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |



სიმბოლური ნაკრები

**მესამე ტური**

26 სექტემბერი. პარასკევი
ბორჯომი – სიონი
გაგრა – მგლები
ზესტაფონი – მესხეთი
27 სექტემბერი. შაბათი
ლოკომოტივი – დინამო
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
*ოლიმპი ისვენებს*

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 3 - | გ. თოდუა | მგლები |
| 2 - | ალექსიძე | ლოკომოტივი |
| | ჩაწაძე | დინამო |



# კუპერი ჩემპიონატის ნაკრებს აპარჯიშებს ალარც ლორია და ალარც მაკარიძე

**ჰექტორ რაულ კუპერი** რომ გერმანელი წინამორბედივით არ იქცევა და საქართველოში ცხოვრობს და მუშაობს, ძალიან კარგია და ასეც უნდა იყოს. არგენტინელი სპეციალისტი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც ესწრება, დღეს კი ახალ პროექტს წარმოადგენს.

კერძოდ, კუპერი „მიხეილ მესხზე" საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ეროვნული ნაკრების კანდიდატებს წაავარჯიშებს.

სიაში 18 ფეხბურთელია და საინტერესოა, რომ მათ შორის არ არიან გიორგი ლორია და გიორგი მაკარიძე, რომლებიც კუპერს ნაკრების განვლილ მატჩებში ჰყავდა.

მაკარიძეზე რა ვთქვათ, მას ბოლო სანაკრებო მატჩებში არ უთამაშია, აი, ლორია კი კუპერმა 270 წუთი ნახა საქმეში და...

*მეკარეები: გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია);*

*მცველები: დავით გიგაური (გაგრა), გურამ კაშია (დინამო), ზაალ ელიავა (დინამო), ნოდარ მაჭავარიანი (ოლიმპი), გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი);*

*ნახევარმცველები: დავით ოდიკაძე (დინამო), ლევან ხმალაძე (დინამო), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი);*

*თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), გიორგი გაბედავა (გაგრა), რატი ალექსიძე (ლოკომოტივი)*

ამ თვრამეტეულიდან ბედიაშვილს, გიგაურს, მაჭავარიანს, რაზმაძეს, დაუშვილსა და გაბედავას ეროვნულ ნაკრებთან აქამდე არასოდეს ჰქონიათ შეხება. ეს ის ბიჭები არიან, რომლებსაც არგენტინელმა ეროვნული ჩემპიონატის განვლილ ორ ტურში დაადგა თვალი.

ისე, ცოტა გვეუცნაურა, რომ კუპერის სიაში „დინამოს" ლიდერი გიორგი მერებაშვილი ვერ მოხვდა...

**ილია ნანობაშვილი**

# შეყილაძის ორმა ერთი მოიტანა

**უნგრეთი 2:2 საქართველო**

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევრო 2009-ის შესარჩევი ციკლის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი უნგრეთთან 2:2-ით დაიწყო.

გელა შეყილაძის გუნდში „პირველი ვიოლინო" ისევ ირაკლი შეყილაძე იყო. ავსტრიაში გამართულ ორ ამხანაგურ მატჩში „ემპოლის" ახალგაზრდული გუნდის ფორვარდმა ოთხი გოლი შეაგდო, გუშინ კი მადიარებს დუბლი შეუსრულა.

ირაკლიმ მე-20 წუთზე გახსნა ანგარიში, მეორე ტაიმის დასაწყისში ანგიალ ნორბერტმა გაათანაბრა, თუმც მალევე შეყილაძემ პენალტი ზუსტად გამოიყენა. ორჯერ ვიგებდით და დასანანია, რომ საბოლოოდ მაინც ფრე... 67-ე წუთზე შაბა პონჩოკმა 2:2 გახადა.

მატჩს სომპათჰეის სტადიონზე 1500 გულშემატკივარი დაესწრო.

იმედია, ქართველ 17-წლამდელებს ანგარიშის ვერშენარჩუნება ძვირად არ დაუჯდებათ და ჩეხეთ-ბოსნიასთან საკმარის ქულებს მოაგროვებენ, რათა ჯგუფიდან გავიდნენ. შეგახსენებთ, ჯგუფიდან ორი გუნდი გადის.

ხვალ საქართველო ჩეხეთს ეთამაშება, 27 სექტემბერს კი ჯგუფის ბოლო ტურში ბოსნიას შეხვდება.



პეტარ სეგრტი და გელა შეყილაძე

**ილია ნანობაშვილი**

**ჩეხეთი 2:1 ბოსნია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| საქართველო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

# სირაძის რუსული დაფასება



**რუსული** პრემიერლიგის 22-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში ნალჩიკის „სპარტაკის" ქართველი თავდამსხმელი დავით სირაძე მოხვდა.

championat.ru-ს შეფასებით, სირაძემ მწვრთნელ იური კრასნოჟანის იმედები სრულად გაამართლა — ბევრს მოძრაობდა, მეტოქის საჯარიმოში ვითარებას ამწვავებდა და თანაგუნდელებს საუცხოო პასებით ამარაგებდა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# უდვალო დაჩია უგოლოა

**მოლდოვის** ჩემპიონატის მე-12 ტურში ლიდერმა ტირასპოლის „შერიფმა" შინ ცსკა-ს 6:2 სძლია. რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში იყო გუნდის კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი, რომელმაც 38-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო.

კიშინიოვის „დაჩიამ" სტუმრად „ოლიმპიასთან" 0:0 ითამაშა.

კიშინიოველთა შორის ლევან კორღალიძემ შეუცვლელად ითამაშა, მცველი სერგი ორბელაძე კი მოედანზე 85-ე წუთზე გამოჩნდა.

ჯაბა დვალი, გეცოდინებათ, ტრავმირებულია და 2 თვე ვერ ითამაშებს.

და ერთიც: კიშინიოვის „ზიმბრუმ" შინ „ისკრა-სტალი" 2:0 დაამარცხა. მასპინძელთა შორის მცველი მამუკა ლომიძე სრულად გაისარჯა.

**ბაჩა შალამბერიძე**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი

პირველი ლიგა — I წრე. 3 ტური

# ამერს ფეხი დაუცდა

**ამ** მატჩამდე აღმოსავლეთ ზონას „ამერი" ლიდერობდა — ორი მოგება და არცერთი გაშვებული გოლი.

პირველ ნახევარში მასპინძლებმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს გიორგი ლორიას კართან. მე-20 წუთზე დინამოელები გიორგი ტიკურიშვილის დარტყმის მერე ძელმა იხსნა. რამდენიმე წუთში ირაკლი ხუციძე გაისარჯა მარჯვენა ფრთაზე, კოხტად ჩამოიცილა მეტოქე და საჯარიმოში ჩააწოდა, ბესიკ ჩიმაკაძემაც დაარტყა კარში, მაგრამ „დინამოს" მეკარე ადგილზე დახვდა ბურთს.

მეორე ნახევრის დაწყებიდან ხუთ წუთში სტუმრები დაწინაურდნენ — სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს დინამოელებმა და მარცხნიდან შეჭრილმა ნიკა ჯიშკარიანმა ახლო კუთხეში გაიტანა.

66-ე წუთზე „ამერს" ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, სანიკიძის გადაცემის მერე ხუციძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ ძალიან ცუდად დაარტყა.

გიორგი ჩიხრაძის გუნდის შეტევებს სიმწვავე აკლდა, სტუმრები კი საკმაოდ დალაგებულად თამაშობდნენ.

81-ე წუთზე ტიკურიშვილს საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს ვაჟა ნემსაძემ აართვა ბურთი, მშვენივრად ისარგებლა და მარცხენა ფეხით თავზე გადაავლო ბურთი მეკარეს — 0:2.

**ნუკრი ლოლაძე**



ვაჟა ნემსაძის (№7) ულამაზესი გოლი

თბილისი. 22 სექტემბერი. 16 საათი. ამერი. 600 მაყურებელი

**ამერი 0:2 დინამო 2**

0:1 ჯიშკარიანი (50), 0:2 ნემსაძე (81)

ამერი: გვენცაძე, თ. სანიკიძე (ჯელაძე 85), გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, ბენდელიანი, კაკაბაძე, ხუციძე, ტიკურიშვილი (გრძელიძე 83), ლაფერაშვილი (ნ. ქებაძე 71), ჩიმაკაძე
სათადარიგონი: ბასილაური, ლ. ბოჯგუა, ჯინიკაშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

დინამო 2: ლორია, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, გეთიაშვილი, მამუჩიშვილი, ნემსაძე, კოპაძე (ცერცვაძე 73), სიხარულიძე, ქანთარია (ჩიკვაიძე 65), ჯიშკარიანი (ლექვთაძე 77)
სათადარიგონი: შარიქაძე, კეკელია, ჩადუნელი, ჭადაშვილი
მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: მამუჩიშვილი (20), სანიკიძე (36), ნემსაძე (59)

მსაჯი: თ. გვანცელაძე

21 სექტემბერი

**ნორჩი დინამო 4:0 ჰერეთი**

**გაგრა 2 1:4 დილა**

22 სექტემბერი

**სიონი 2 4:1 კახეთი**

**თბილისი 2:1 ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| სიონი 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| ამერი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ჩიხურა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| დილა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ნორჩი დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| კახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ჰერეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |
| გაგრა 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |

22 სექტემბერი

**ხობი 0:0 მერანი**

**ბაია 2:1 ბათუმი**

**სამტრედია 1:0 ტორპედო 2008**

**ჭიათურა 4:2 მეშახტე**

**გურია 0:0 კოლხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| კოლხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ჭიათურა | 3 | 2 | 0 | 1 | 9:4 | 6 |
| სამტრედია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ხობი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| მერანი (მ) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ბათუმი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ტორპედო 2008 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ზესტაფონი 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| გურია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| მეშახტე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |



ლაშა ნოზაძის (№7) „შახტიორი“ დაინდეს

# ნოზაძე და ძმები ჯელაძეები გადარჩნენ

**გეცოდინებათ,** ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ლაშა ნოზაძის ყარაგანდის „შახტიორი“ და ძმებ გიზო და ზვიად ჯელაძეების „ვოსტოკი“ გარიგებულ თამაშში ამხილა. ამის გამო ორივე გუნდი ჩემპიონატიდან მოკვეთა, თუმც შემდეგ ჩვენება შეატრიალა...

სააპელაციო კომიტეტმა ყარაგანდის ოლქის გუბერნატორ ნურკან ნიგმატულინის თხოვნა გაითვალისწინა და გუნდები უმაღლეს ლიგაში დატოვა. თუმც გადაწყდა, რომ მომავალ სეზონში „შახტიორში“ ველარ იმუშავებენ კლუბის პრეზიდენტი გრიგოლ ლორია და მენეჯერი ვლადიმერ ნიდერგაუსი — ამ ორის მიმართ ყაზახეთში ბევრი კითხვაა, ისინი მუდმივად ფიგურირებენ სკანდალურ ამბებში.

ნააპელაციევს „შახტიორმა“ კუშტანაის „ტობოლს“ 1:0 მოუგო, თუმც ნოზაძეს არ უთამაშია, „ვოსტოკმა“ კი „ასტანას“ ასეთივე ანგარიშით რომ სძლია, ამ მატჩში ზვიად ჯელაძემ სრულად ითამაშა, ზვიადი კი 70-ე წუთზე შეცვალეს.

ტურის კიდევ ერთ მატჩში ლაშა ჭელიძემ ყიზილორდას „ქაისარის“ შემადგენლობაში 90 წუთი დაჰყო მინდორზე — მისიანები „ესილ-ბოგატირს“ 0:0-ზე გაეყარნენ.

**ილია ნანობაშვილი**

# აზერბაიჯანის ქართველობა

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატში უიღბლო გამოდგა გიორგი დემეტრაძის დებიუტი — „ბაკიმ“ შინ 0:3 წააგო ევლახის „ქარვანთან“.

ქართველი თავდამსხმელი (№99) მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა, მაგრამ გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა.

არ გამოჩენილა კიდევ ერთი ბაქელი ქართველი ამირან მუჯირი — სათადარიგო იყო.

გამარჯვებულთაგან მიხეილ მესხი 73-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა.

ზაქათალის „სიმურგმა“ შინ ბაქოს „ინტერთან“ 0:2 წააგო. დავით ბოლქვაძემ, მიხეილ მახვილაძემ, გრიგოლ დოლიძემ და კახა ჩხეტიანმა სრულად ითამაშეს.

„ნეფთჩი“ ტოვუზის „თურანს“ უგოლოდ გაეყარა. ბაქოელთა ძირითადში იყო გიორგი ადამია, რომელიც 81-ე წუთზე გიორგი ჭელიძემ შეცვალა.

„ოლიმპიკმა“ შინ 0:1 წააგო ლენქორანის „ხაზართან“.

მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში იყო რევაზ გეწაძე, რომელიც 46-ე წუთზე რომან ახალკაცმა შეცვალა. მიხეილ ხუციშვილი კი 70-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

კახა ცხადაძის გაწვრთნილმა ბაქოს „სტანდარდმა“ აუტსაიდერ „ბაკილის“ უმასპინძლა და ოდენ ფრეს გამორჩა — 1:1.

სტუმართაგან გივი ჩხეტიანი გამოირჩა გოლით. თუმც მერე მსაჯმა ორი ყვითელი ბარათით გააძევა.

„სტანდარდში“ ლევან სილაგაძემ და დავით ჭიჭველიშვილმა სრულად ითამაშეს, ბაჩანა ცხადაძე კი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მოედანზე. სათადარიგო იყო მეკარე მიხეილ ალავიძე.

სტუმართა კიდევ ერთი ქართველი შოთა ჯიშკარიანი კი მოედანზე 73-ე წუთზე გამოჩნდა.

და ერთიც: „გაბალამ“ შინ 1:2 წააგო აგდამის „ყარაბაღთან“.

თორნიკე აფციაურმა შეუცვლელად ითამაშა, სრულად გაისარჯა აგდამელი ალექსანდრე გოგობერიშვილიც.

**კახა ზალამბერიძე**




ბოლნისის „სიონი“
ულოცავს გუნდის
მთავარ მწვრთნელ
ოთარ კორღალიძეს
შვილიშვილის შეძენას!


# ასათიანი — მერვე კიეველი ქართველი

**მალხაზ ასათიანმა** კიევის „დინამოში“ პირველი ოფიციალური მატჩი თასზე „ოლკომთან“ ითამაშა და გოლით გამოირჩა.

აი, უკრაინის ჩემპიონატში კი „ასათას“ გუშინწინ ოდესის „ჩერნომორეცთან“ 3:0 მოგებულ შეხვედრაში ჰქონდა დებიუტი.

მალხაზი მერვე ქართველია, ვინც უკრაინის პირველობაზე კიევის „დინამოს“ მაისურით გამოსულა.

რაც შეეხება დანარჩენებს, უკრაინულ კლუბში ჩვენიანთაგან ყველაზე მეტჯერ, ცხადია, კახა კალაძეს უთამაშია. მოკლედ, სიას გთავაზობთ:

კახა კალაძე — 72 მატჩი, გიორგი დემეტრაძე — 26, მიხეილ ჯიშკარიანი და ახრიკ ცვეიბა — 21-21, ოთარ მარცვალაძე — 6, კახა ალადაშვილი და დავით იმედაშვილი — 2-2.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ლაციო 4:1 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 15 |
| ლევან მჭედლიძე | პალერმო | შ | ჯენოა 2:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 4 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ფულემი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 10 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | აინტრახტი 1:0 | 90 | | 4 | 0 | 1 |
| ლევან ყენია | შალკე | შ | აინტრახტი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | ს | შტუტგარტი 1:3 | 78 | საგოლე პასი, შეცვალეს | 3 | 0 | 15 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | ს | ზტ. პაული 0:1 | 90 | | 2 | 0 | 15 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | აუგსბურგი | ს | კობლენცი 1:2 | 0 | | 2 | 0 | 16 |
| დავით თარგამაძე | ფრაიბურგი | შ | ვეჰენი 5:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | შ | ზალცბურგი 2:2 | 90 | | 9 | 0 | 3 |
| ილია კანდელაკი | შტურმი | შ | ზალცბურგი 2:2 | 90 | | 9 | 0 | 3 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბჟალავა | ა. ლუშტენაუ | ს | ვოკლაბრიუკი 1:2 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | ს | ლუჩ-ენერგია 3:2 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 7 |
| დავით კვირკველია | რუბინი | ს | სპარტაკი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 19 | 3 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | სპარტაკი 1:0 | 90 | | 13 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | სპარტაკი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | ს | მოსკვა 1:3 | 49 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 1 | 9 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | ს | მოსკვა 1:3 | 90 | | 22 | 3 | 9 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | ს | მოსკვა 1:3 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი | 20 | 3 | 9 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | შ | ლოკომოტივი 2:3 | 90 | 1 გოლი | 19 | 2 | 14 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | დინამო | ს | ჩერნომორეცი 3:0 | 90 | | 1 | 0 | 2 |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | ჩერნომორეცი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | ს | ჩერნომორეცი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | ჩერნომორეცი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | კრივბასი 1:1 | 71 | შეცვალეს | 5 | 1 | 14 |
| ლადო ბურდული | ტავრია | ს | კრივბასი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | ს | ხარკოვი 3:2 | 5 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 5 | 1 | 5 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | შ | დინამო 0:3 | 90 | | 6 | 0 | 8 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | ვორსკლა 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 7 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | ს | ვორსკლა 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| სანდრო გურული | კარპატი | შ | მეტალისტი 0:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 12 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | შ | კლადნო 2:1 | 0 | | 1 | 0 | 2 |
| დიმიტრი ტატანაშვილი | პლზენი | შ | ბუდეიოვიცე 1:1 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 10 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | ს | რუჟომბეროკი 0:3 | 90 | | 9 | 1 | 9 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით დევდარიანი | ორჰუსი | შ | სიონდერისკე 2:1 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **დანია. I დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | ს | ფრემადი 7:1 | 90 | | 5 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ფეხბურთელის ცოლი

## ბექემების იმპერია მარტო დევიდი არ არის



ვიქტორია ადამს-ბექემი

**იქნებ გეჩვენოთ, რომ ეს სტატია უშუალოდ ფეხბურთს არ ეხება. მასში არც პასია აღწერილი და არც კუთხური, მაგრამ დაგვეთანხმებით, ის, რაზეც, უფრო სწორად კი, ვისზეც აქ წერია, თანამედროვე საფეხბურთო მსოფლიოს დიდი შემადგენელია და მეტიც, მან მთელი სტილი და ცხოვრების წესიც კი შემოიღო. სწორედ მისგან მოდის ცნება WAG, ანუ ფეხბურთელის ცოლი თუ გელფრენდი. ინგლისში, მაგალითად, ეს უკვე სოციალური ჯგუფია და ბევრი ახალგაზრდა ქალი სწორედ WAG-ობაზე ოცნებობს. გთავაზობთ სტატიას გუშინდელი ინგლისურ-ამერიკული პრესიდან, ოღონდ ოდნავ შეკრეჭილი და ოდნავ შეკეთებული სახით**

ეს ქალი სიგამხდრით, გაბუტული ტუჩებით და მაღაზიებში დახარჯული მილიონებით არის ცნობილი, თუმცა... თავად ამბობს, რომ მას მერე, რაც საცხოვრებლად ლოს ანჯელესში გადავიდა, ყველაფერი შეიცვალა — დღეს ვიქტორია ბექემი გაცილებით ბედნიერი და მხიარულია, ვიდრე ადრე იყო. მის ცხოვრებაში ჩახედული ჟურნალისტებიც ადასტურებენ, რომ 34 წლის, სამი შვილის დედამ მაღაზიებში გიჟურ სიარულს თავი დაანება და მეტიც, ღიმილი დაიწყო!

მაშ ასე, რაც ვიქტორია ადამს-ბექემი, მეუღლე მისი დევიდ ბექემი და სამი ვაჟი, ცხრა წლის ბრუკლინი, ექვსი წლის რომეო და სამი წლის კრუზი ამერიკაში გადასახლდნენ, ერთი წელიწადიც შესრულდა და შემოდგომაც მოვიდა, ასე რომ, წიწილების დათვლა უკვე შეიძლება.

მისის ბექემმა ლოს ანჯელესში თავი ბედნიერად, ალბათ, იმიტომაც იგრძნო, რომ მანამდე, მადრიდში, სამი წლის განმავლობაში იტანჯებოდა. მადრიდში რა უნდოდა? ნუთუ დაგავიწყდათ, რომ მისი ქმარი დევიდი „რეალში“ თამაშობდა?! ვიქტორია კი იქ თავს უცხოდ და მიტოვებულად გრძნობდა, რასაც დევიდის სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ დაყრილი ათასნაირი ჭორიც ემატებოდა.

რასაკვირველია, ვიქტორიამ კარგად იცოდა, რომ ლოს ანჯელესში გადასვლა რისკთან იყო დაკავშირებული. სად იყო იმის გარანტია, რომ ჰოლივუდის ქალაქში ის და მისი ფეხბურთელი ქმარი (განა ამერიკაში ფეხბურთი პოპულარული სახეობაა?) კარგად მოეწყობოდნენ, მაგრამ დღეს, ინგლისელი პოპ-მომღერლის ინტერვიუდან ვიგებთ, რომ რისკს გაუმართლებია.

„იყო დრო, როდესაც საკმაოდ დათრგუნული გახლდით. მეგონა, ვერაფერს შევძლებდი და ამიტომ არსად მივდიოდი. ეს ის დროა, როდესაც თავჩახრილი ვუვლიდი ოჯახს, ბავშვებს, დევიდს და მოდის სამყაროში ფრიად მოკრძალებული შედეგები მქონდა. დღეს უკვე სხვა სიტუაციაა. აი, ვზივარ ჟურნალისტების წინაშე და თავს ამაყად ვგრძნობ. მიხარია, ამდენ რამეს რომ მივაღწიე. ახლახან დავბრუნდი ნიუ იორკის ფეშენ-კვირეულიდან და მინდა გითხრათ, რომ ჩემმა კაბებმა იქ მართლა მიაღწიეს წარმატებას. უკეთეს შედეგზე ვერც ვიოცნებებდი. მერედა, საოცრად კარგი ამბები მომდის ჩემი სუნამოების ბიზნესიდან. აქ უკვე 109 მილიონი გირვანქის ღირებულებაზეა ლაპარაკი და ეს მაშინ, როდესაც ამერიკის ბაზარს ჯერ იოტისოდენადაც არ დავტყობივართ. ერთი სიტყვით, ყოველი მხრიდან სასიამოვნო ამბები მესმის. ის კი არა, ბოლოხანს მართლა ვიღიმები“.

რა საინტერესოა... როგორც ირკვევა, ლოს ანჯელესში დასახლებამდე ვიქტორიას სპორტდარბაზში ერთხელაც არ შეედგა ფეხი და ფიგურის შენარჩუნებას შიმშილით ცდილობდა. და ახლა? ახლა, ფეხბურთელის ცოლი და ყოფილი „სფაის გელი“ ყოველდღე ოთხ მილს დარბის, მადას კი ნუ იკითხავთ...

„კვირაში ხომ შვიდი დღეა და შვიდივე დღეს ოთხ-ოთხ მილს გავრბივარ — ყვება ვარსკვლავი — აქ, ამერიკაში მართლაც მშვენიერი სპორტდარბაზებია. მოკლედ, თავს ჯანმრთელ და ენერგიით ავსე ადამიანად ვგრძნობ. დისციპლინაც ძალიან მიხდება. დილით ადრე ვდგები, ბავშვები სკოლაში მიყავს და თავად დარბაზისკენ მივეშურები. iPod-ზე მუსიკას დევიდი დებს, გორდონ რამზიმ კი ისეთი ტრენაჟორები შემირჩია, რომ ჩიპი თავად გეუბნება, რა დროში რა მანძილი გაირბინე. ვარჯიშის შემდეგ კი შინ ვბრუნდები და ვმუშაობ. ასე უფრო კარგად ვგრძნობ თავს“.

ვიქტორია ადამსი და მისი ქმარი ლოს ანჯელესში ხუთწლიანი პროგრამით ჩავიდნენ — ამ ხანში დევიდმა ამერიკას ფეხბურთი უნდა შეაყვაროს. ისე, კაცმა რომ თქვას, ბექემის გუნდი, „ლოს ანჯელეს გელექსი“ ჩემპიონატში ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად ვერ წყვეტს, მაგრამ მის თამაშებს სულ მეტი და მეტი ხალხი ესწრება — როგორც ჩანს, დევიდის დამსახურებაა. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ფეხბურთი მაინცდამაინც არ უყვართ, დევიდ ბექემი ამერიკაშიც დიდ ვარსკვლავად რჩება, რაც, დაგვეთანხმებით, იოლი საქმე აშკარად არ უნდა იყოს. თუმცა, ამ ვარსკვლავობაში, ვფიქრობთ, ცოლის წილიც დიდია — განა ბევრი ფეხბურთელის საქომაგოდ დადის სტადიონზე ვიქტორია ადამსი და მოდის სამყაროს ისეთი სიდიდე, როგორიცაა ევა ლონგორია? მითუმეტეს, თუ ლონგორია ბექემების იმპერიას საქმეშიც ზურგს უმაგრებს.

ვიქტორია: „გაჭირვებაში მიცხოვრია და ვიცი, როგორია, როდესაც უყურებ, როგორ ხარჯავს სხვა მაღაზიაში დიდძალ ფულს. ამიტომ, თითოეულ გროშს ვაკონტროლებ. ვფიქრობ, კარგი ბიზნესვუმენი ვარ და, რაც მთავარია, ყოველდღე ვსწავლობ. კვირაობით „ბარახოლკაზე“ სიარულს თუ არ ჩავთვლით, შოპინგებისთვის თავს აღარ ვიწუხებ, საკუთარ დიზაინს კი ხშირად სწორედ „ბარახოლკაზე“ ნაყიდი ნივთით ვამდიდრებ. იქიდან იდეები მომდის. არ დაგიმალავთ, დევიდი ჩემზე გაცილებით მეტ ფულს ფლანგავს“.

**პაპუნა ქედია**



კრუზ ბექემი, ვიქტორია და ევა ლონგორია



ბექემების ბედნიერი წყვილი




მაიკლ ოუენი

# მერსისაიდან სადამდე?

**რომ ვთქვათ,** მაიკლ ოუენის მსურველები გეოგრაფიულად დიდ ფართობზე არიან გაბნეულნიო, ტყუილი გამოგვივა — ინგლისი, მერსიაიდი, ქალაქი ლივერპული — აი, სულ ეს არის. სხვა ამბავია, რომ ამ ქალაქში ორი სახელოვანი კლუბი ბინადრობს და ოდესღაც მრისხანე ინგლისელ ვარსკვლავზე მხოლოდ და მხოლოდ ისინი ნადირობენ.

მოგეხსენებათ, ოუენის ყიდვა „ლივერპულსა“ და „ევერტონს“ ჯერ კიდევ ზაფხულში სურდათ და ეჭვია, სურვილი არც ახლა განელებიათ.

ნიუკასლში კი ოუენის მომავალი საკმაოდ დიდ ნისლშია მოქცეული. უნდა ითქვას, რომ „კაჭკაჭებთან“ მისი კოტრაქტი ბოლო წელიწადს ითვლის, ხოლო რა მოხდება მომავალში, კაცმა არ იცის — ნიუკასლში ხომ დიდი არეულობაა, კევინ კიგანი მწვრთნელის თანამდებობიდან წავიდა, მეპატრონე მაიკ ეშლი კი სულაც გუნდის გაყიდვას ლამობს. ვინ მოვა მის მაგივრად? რა ჭკუაზე იქნება ახალი მეპატრონე? რასაკვირველია, ეს ის კითხვებია, რომლებიც ოუენის ასაკის ფეხბურთელს ფრიად აღელვებს ხოლმე.

ოფიციალურად კი ვითარება ასეთია: ახალი ვარიანტების მოსინჯვის უფლებას ფორვარდს იანვრის სატრანსფერო ფანჯრისასაც მისცემენ, ზაფხულიდან კი შეუძლია, უბრალოდ, ქუდი დაიხუროს და სადაც მოეპრიანება, იქ წავიდეს.

ამბობენ, რომ როგორც „ლივერპული“, ასევე „ევერტონი“ ოუენში ამ ზამთარშივე 4 მილიონის გაღებას აპირებს, თუ არა და, ზაფხული და მისი ჯანი.

**პაპუნა ქედია**

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— ბრიტანეთის ვიზა როგორ ავიღო, დამაკვალიანე რა, გეხვეწები რა...

— რამ გადაგრია, რად გინდა?

— ლივერპულში უნდა ჩავიდე და რაფიკა ჰალსტუხით ვათრიო...

— რომელი რაფიკა?

— ბლანჟეიანი პროფესორი როა, „ლივერპულის" ტრენერობას რო იბრალებს... სუ გამოსტოკდა, ტო! რეებს კადრულობს...

— რა იყო?

— „ლივერპულის" ერთიანი დავწერე „სტოკთან" ათას დოლარში და რა მიქნა რაფიკამ, ტო! ეგ რა იჩალიჩა მასტმა!

ერთი ეს ვიზა ამაღებინა და მაგის ცხვირით „ენფილდის" მინდორს მოვხნავ. ჰალსტუხით ვითრევ და კარიდან კარამდე ვახოხიალებ. ვისთან, ტო, ვისთან! „სტოკთან"? „მანჩესტერს" ნოლ აძინ შემოუბრუნა, მერე „მარსელსა" და „სტოკს" ვერ უგებს?

— შენ აქ უნდა გენახა, ძმაო, ცოდვის ტრიალი, ტოტალიზატორში, „ლივერპული" რო დამთავრდა და ყველა მაგიდიდან ხალხი დაჭმუჭნულ ბილეთებს წკიპურტებით სანაგვეში რო ისროდა. ერთი ათი წუთი გრძელდებოდა სროლა. და ოცი წუთი ბენიტესის გინება. იმენა ყველას „ლივერპულის" ერთიანი ეწერა.

— პროსტაამც, ამის მერე არავინ მითხრას, რო პრემიერლიგაში არ ყომარობენ, თორე ბენიტესის ჰალსტუხით დავახრჩობ. ნახე, რა... „სტოკს" ოთხ მატჩში ათი გოლი ჰქონდა გაშვებული და ამ გუნდს ჯერარდმა, კინმა, ტორესმა და ბაბელმა გოლი ვერ გაუტანეს, ტო? იასნია, რო ბლანჟეიანმა უთხრა, არ უნდა გაიტანოთო...

— მე კიდე გერმანიის ვიზა მინდა...

— იქ რაღა დაგრჩენია? ლუდის ფესტივალზე იჩითები?

— რა მეფესტივალები, ძმაო, კლინსმანი მყავს სანახავი. პირადი საქმე მაქვს.

— რა საქმე?

— როცამ ზედიზედ სამი თამაში რო მოიგო, მეთქი „ბაიერნი" ხოდზეა და „ვერდერთან" გაქანებული ერთიანი არა ვლეწე?!

— მაგრა გილეწია... 67-ე წუთზე ნულით ხუთს აგებდა...

— ფეხებზე მკიდია... მიუნხენში უნდა ჩავიდე და წაგებული მაყუთი ლიჩნად კლინსმანისგან მივიღო... ფული ჩამაბაროს, ძმაო. გინდა, ტონი გაყიდოს, გინდა, შვაინშტაიგერი, ჩემი ასი დოლარი დამიბრუნოს...

— ისე, მაგ თამაშს თუ უყურე, რიბერი გაიჩითა ტრიბუნაზე შვილით...

— მერე?

— ამბობენ, რო მამამისისთვის უთქვამს, არა გრცხვენია, ამ გუნდში რო თამაშობო?

**ძუში ძოწმარია**

ჩემი ბილეთი:
001 ინგლისი. ლიგის თასი
„ლივერპული" — „ქრიუ"
შედეგი: 200 და მეტი დახეული ბილეთი
სავარაუდო მოგება: ბენიტესის ჰალსტუხი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ,
მართლა ეწერა თუ არა ფრანკ რიბერის
შვილს ბილეთში „ვერდერის" იქსდვა

114140 *

# ესიენს შემცვლელი მოუძებნეს



მინეირუ

**ბრაზილიელმა** ნახევარმცველმა მინეირუმ ლონდონის „ჩელსისთან" პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა და უახლოეს მომავალში „სტემფორდ ბრიჯზე" მისი ოფიციალური წარდგენაც მოეწყობა.

„არისტოკრატებს" მიკაელ ესიენის და დეკუს მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ ნახევარდაცვის ხაზში პრობლემები შეუქმნათ, განსაკუთრებით ნათლად ეს საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე მჟღავნდება, სადაც „ლურჯების" თავკაც ლუიშ ფელიპე სკოლარის ჯონ ობი მიკელის გარდა არჩევანი არ აქვს. ასე რომ, მინეირუს გადასვლა სწორედ მისწრება იყო და ამაზე „დიდმა ფილმაც" ისაუბრა:

„ახლა ჩვენთვის მინეირუსნაირი მოთამაშე აუცილებელია, რადგან საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გამოსვლა ამჟამად მხოლოდ ობი მიკელის თუ შეუძლია".

33 წლის ბრაზილიელი „ჩელსიში" თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. მისი ბოლო გუნდი ბერლინის „ჰერტა" იყო, სადაც მინეირუმ 33 თამაშში ორი გოლი გაიტანა. ყველაზე დიდ წარმატებას კი ნახევარმცველმა „სან პაულუში" გამოსვლისას მიაღწია, სადაც 2005 წლის ლიბერტადორესის თასი და ფიფას მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი მოიგო.

**არჩილ ძოზახიძე**

## ბაღდადში ბურთი კვლავ გაგორდა

**2003 წლის** შემდეგ, რაც ამერიკული ჯარები შევიდნენ ერაყში, ერაყის ნაკრებმა ბაღდადში ვარჯიში კვირას პირველად ჩაატარა. ბრაზილიელი მწვრთნელი ჟორვან ვიეირა, რომლის ხელმძღვანელობითაც ერაყელებმა გასულ სეზონში აზიის ჩემპიონის ტიტული მოიგეს, 30 ფეხბურთელს 2-საათიანი წვრთნა ჩაუტარა.

## ნორჩი კაჭკაჭი დააპატიმრეს

**ინგლისური** „ნიუკასლ იუნაიტედის" ფორვარდი ენდი კეროლი ქალზე თავდასხმისთვის დააპატიმრეს. ინციდენტის წვრილმანები არ ხმაურდება. 19 წლის კეროლს „კაჭკაჭების" შემადგენლობაში ჯერჯერობით გოლი არ გაუტანია, მაგრამ კლუბის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა მოთამაშედ მიიჩნევა.

## გაელ კლიში მსუბუქად დაშავდა

**ლონდონის** „არსენალის" მცველმა გაელ კლიშიმ „ბოლტონთან" მატჩში ტრავმა მიიღო, მაგრამ საბედნიეროდ, დაზიანება უმნიშვნელო აღმოჩნდა. ფეხბურთელს რენტგენი გადაუღეს და სერიოზული ვერაფერი აღმოუჩინეს. ასე რომ, კლიში „მეთოფეების" მომდევნო მატჩშიც შეძლებს მონაწილეობას.

## მეციუ გადადგა

**ბრუნო მეციუ** არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა. ამ ნაბიჯის მიზეზი მისი გუნდის ჩრდილოეთ კორეასთან და საუდის არაბეთთან წარუმატებელი გამოსვლა გამოდგა.

## იემენს პორტუგალიელი გაწვრთნის

**იემენის** ნაკრებს ახალი დამრიგებელი ჰყავს — ჟოზე დე მორაეში. პორტუგალიელმა სპეციალისტმა ამ თანამდებობაზე ეგვიპტელი მოჰსენ სალეჰი შეცვალა. მორაეშის ხელფასი თვეში 20 ათას დოლარს შეადგენს.

## ბუფონი მშვიდადაა

**ტურინის** „იუვენტუსის" გოლკიპერმა ჯანლუიჯი ბუფონმა „კალიარისთან" სერია A-ს მესამე ტურის მატჩში ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა, თუმცა, მეკარის განცხადებით, იგი სერიოზულად არ დაშავებულა.

„ბურთის თამაშში შეტანისას ტკივილი ვიგრძენი, რის შემდეგაც შეცვლა ვითხოვე. ვფიქრობ, სერიოზული არაფერი მჭირს. მაქსიმუმ, ერთი კვირა გამიცდეს. ყოველ შემთხვევაში, მშვიდად ვარ, რადგან მჯერა, რომ ალექს მანინგერს ჩემი ღირსეულად შეცვლა შეუძლია" — ბრძანა „სკუადრა აძურას" კარის დარაჯმა.

## ხუმარებს მეკარე დაუბრუნდათ

**გელზენკირხენის** „შალკეს" გოლკიპერმა მანუელ ნოიერმა ტრავმა მოირჩინა და შესაძლოა, ბუნდესლიგის მორიგ ტურში „კიოლნის" წინააღმდეგ ითამაშოს კიდეც. 22 წლის მეკარემ ივლისში წინასასეზონო მზადებისას ფეხი მოიტეხა და მას შემდეგ უთამაშებელია.

## იანაკოპულოსი ჰალში?

**საბერძნეთის** ნაკრების ნახევარმცველმა სტელიოს იანაკოპულოსმა შესაძლოა, საფეხბურთო კარიერა პრემიერლიგის „ჰალ სიტიში" გააგრძელოს. 34 წლის ფეხბურთელი, რომელმაც ზაფხულში „ბოლტონ უონდერერსი" დატოვა, ფილ ბრაუნის გუნდის ამასწინანდელ მატჩს დაესწრო, რომელშიც „ვეფხვები" „ევერტონს" დაუზავდნენ — 2:2.

„ვფიქრობთ, ხელეკრულება სეზონის ბოლომდე იქნება, ყოველ შემთხვევაში, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე მაინც. სტელიოსი თავისი ნაკრების შემადგენლობაში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა სურს და ამისთვის სათამაშო პრაქტიკა სჭირდება" — განაცხადა ბრაუნმა.

## დეკუსა და კარვალიუს გაურკვევლობა

**ლონდონის** „ჩელსის" პორტუგალიელი ფეხბურთელების, დეკუს და რიკარდუს გამოჯანმრთელების ვადები ჯერჯერობით უცნობია. დეკუმ „მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩისწინა ვარჯიშზე კოჭის ტრავმა მიიღო, ხოლო რიკარდუ კარვალიუმ უშუალოდ მანკუნიანელებთან შეხვედრისას მუხლის მყესები დაიზიანა. საბოლოო პასუხი ორივე მოთამაშის საგულდაგულო სამედიცინო შემოწმების შემდეგ გახდება ცნობილი.

**არჩილ ძოზახიძე**

# ნამდვილი კაკა



სერია A ნელნელა ხურდება. channel4.com-ი კი მესამე ტურის თაობაზე ტრადიციულ ჩანახატს გვთავაზობს. საუკეთესო ამჯერად „მილანის“ ბრაზილიელი ლიდერი კაკაა, ხოლო დანარჩენს უფრო დაწვრილებით ქვემოთ შეიტყობთ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამარჯვებული

*კაკა (მილანი)* — ინერტულობისა და მოტივაციის ნაკლებობისთვის თანაკლუბელების გაკრიტიკების შემდეგ, ბრაზილიელმა ლიდერობა კვლავ იტვირთა და ყველასთვის სამაგალითო იყო. კაკაზე ზეწოლამ დადებითად იმქომედა და მან „ლაციოსთან“ შეხვედრაში გაიბრწყინა. 25 წლის ფეხბურთელი ურტყამდა შორიდან, აკეთებდა პასებს, ფინტებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც სურდა. მან სერია A-ს მცველებს დაანახა, რომ ნამდვილი კაკა დაბრუნდა.

## დამარცხებული

*ფაბიანო სანტაკროჩე (ნაპოლი)* — შესაძლოა, იგი ნიჭიერი მცველია, მაგრამ ნერვები უნდა მოთოკოს. ექსბრეშელმა „ნაპოლი“ კიდევ ერთხელ დატოვა ათი კაცით. ამ სეზონში მან მეორე მატჩი ითამაშა და ორივეში წითელი ბარათი მიიღო. სანტაკროჩემ უდინელი ფანების უკმაყოფილებაც დაიმსახურა. ანტონიო დი ნატალესა და ალექსის სანჩესთან შელაპარაკების მერე, მაურიციო დომიციზე აგრესიული შეტევა ხომ საერთოდ ზედმეტი იყო.

## ტაქტიკის მასტერკლასი

*ჟოზე მურინიუ (ინტერი)* — „განსაკუთრებულის“ სამკაციანმა თავდასხმამ „ინტერი“ კიდევ უფრო მწვავე და ძლიერი გახადა. პორტუგალიელს სხვადასხვა ტაქტიკური გადანაცვლებები და ხრიკებიც რომ არ ემლება, „ნერატურის“ „ტორინოსთან“ მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა. მილანელების თავდასხმაში თამაში ადრიანომ, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და მანსინიმ დაიწყეს, ხოლო მარიო ბალოტელიმ, ხულიო რიკარდო კრუსმა და რიკარდუ კუარეშმამ დაასრულეს. სადმე სუსტი წერტილი დაინახეთ?

## ტურის გოლი

*დუგლას მაიკონი (ინტერი)* — კლასიკური კონტრიერიშით გატანილი გოლი, რომელიც ლამაზად დაბოლოვდა ცოტა მოულოდნელი მოთამაშის მიერ. „ნერაძურის“ მოთამაშეებმა ბურთი საკუთარ ნახევარზე მოიპოვეს და რამდენიმე სწრაფი და კარგი პასით მეტოქის საჯარიმოსთან მიიტანეს. მაიკონმაც სწორედ ამ დროს გადაწყვიტა, კაკას სტილში ეთამაშა და ლამაზი დარტყმით შანსი არ დაუტოვა მატეო სერენის.

## მამა მია!

**მეორე ტური** მოულოდნელობებისა იყო. მესამეში კი ყველაფერი კალაპოტს დაუბრუნდა. „რომამ“ და „მილანმა“, როგორც იქნა, გამარჯვებები მოიპოვეს, „ინტერმა“ და „იუვენტუსმა“ წინსვლა გააგრძელეს. ერთადერთი სენსაცია „სამპდორიას“ შინ „კიევოსთან“ ვერმოგება გახლდათ. გენუელებმა სეზონი მძიმედ დაიწყეს და ვითარების გამოსწორებას ჯერ ვერ ახერხებენ.

## რა ვისწავლეთ გასულ უქმეებზე

**„რომას“** და მის ვარსკვლავებს საუკეთესო დრო არ უდგათ, მაგრამ დედაქალაქელებს მაინც ძალუძთ მატჩის მოგება, თუ მეტოქე საკმარისად სუსტია.

**„სამპდორია“ — „კიევოს“** მატჩის ყურებისას შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ წყალქვეშ ფეხბურთის თამაში სავსებით შესაძლებელია.

**„ლაციოს“** „მილანისგან“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ შარშანდელი განადგურება (1:5), ეტყობა, რომაელთა მაშინდელი მეკარის, ფერნანდო მუსლერას ერთპიროვნული ბრალი არ ყოფილა.

## რიცხვი

*დანიელე არიგონიმ* საიუბილეო, მე-100 მატჩი წააგო კარიერაში — გასულ უქმეებზე მისი „ბოლონია“ „ფიორენტინასთან“ დამარცხდა.

**„ლაციოს“** „მილანთან“ კოშმარული სტუმრობები გრძელდება. „ბიანკოჩელესტიმ“ „როსონერის“ გასვლაზე ბოლოს 19 წლის წინ, ალესანდრე პატოს დაბადების მერე, დღეს მოუგო. „მილანმა“ კი მოიგო და ამჯერად შთამბეჭდავად ითამაშა, მაგრამ გუნდის დაცვის თამაში კითხვის ნიშნებს კვლავ ბადებს. მიზეზიც საფუძვლიანია — სერია A-ს მიჯრით 11 მატჩი, რომელშიც მილანელები კარის მშრალად შენახვას ვერ ახერხებენ.

**გიორგი ქაქაბაძე**



რიო ფერდინანდი

# ნერვიული სიმშვიდე



ფერგიუსონმა ნევილის რისხვისგან მაიკ რაილი რის ვაი-ვაგლახით დაიცვა

**იცით** თუ არა, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“, „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრაში (1:1) მსაჯმა მაიკ რაილიმ მანჩესტერელი ფეხბურთელები შვიდჯერ გააფრთხილა? ამბობენ, რომ ამ დრამატიზმის გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ინგლისის ჩემპიონებს გვარიანად დასჯის და დასჯილთა შორის, სავარაუდოდ, „იუნაიტედის“ კაპიტანი რიო ფერდინანდიც იქნება — მოგეხსენებათ, თამაშის სულ ბოლო წამს ფერდინანდი ლონდონელ დიდიე დროგბას შეასკდა — ვნებათაღელვა აშკარად ზღვარს სცილდებოდა — რის გამოც რაილიმ, გამწვავების თავიდან ასაცილებლად, თამაში დაასრულა, თუმცა ამით მანჩესტერელთა კაპიტანი ვერ დააცხრო. ფერდინანდმა რაილისაც უყვირა და გზად გასახდელისკენ არც მეოთხე მსაჯი დაინდო. შემდეგ, როგორც ირკვევა, ისტორიას გაგრძელება მოედანს მიღმაც მოჰყვა — ლონდონელმა ქომაგებმა სტადიონიდან გასვლისას „იუნაიტედის“ ავტობუსს ფანჯარა ჩაუმსხვრიეს.

ინტერესისთვის ან, თუ გნებავთ, ისე, საკუთარი სტატისტიკისთვის გაფრთხილებული მანჩესტერელები ჩამოვთვალოთ: პოლ სქოულზი, კრიშტიანუ რონალდუ, უეინ რუნი, დიმიტარ ბერბატოვი, რიო ფერდინანდი, გარი ნევილი და პატრის ევრა. ამ ხალხის აუცილებელი ჯარიმა (ანუ საგანგებო-სადისციპლინო განხილვას და დამატებით სასჯელს თუ არ გავითვალისწინებთ) 25 000 გირვანქა იქნება.

„ჩელსის“ თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი: „ყვითელი ბარათების სიმრავლე არ გამკვირვებია. მსაჯი მოედანზე სწორედ ამიტომ არსებობს. თუ ფეხბურთელები მის გადაწყვეტილებებს პატივს არ სცემენ, მაშინ ის ყვითელი და წითელი ბარათების ამოღებას იწყებს. ეს ყველას ეხება, „მანჩესტერ იუნაიტედსაც“, „ჩელსისაც“ და „ლივერპულსაც“.

აღსანიშნავია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა, სერ ალექს ფერგიუსონმა მყისიერად გამოამჟღავნა სიბრძნე და თავის აღელვებულ მოთამაშეებს დამშვიდება მოედანზევე დაუწყო.

**წლევანდელი სეზონი საქართველოს ნაკრებისათვის ძალიან საინტერესო გამოდგა. პირველ რიგში იმით, რომ ოთხი ოფიციალურ შეხვედრიდან სამში მოახერხეს ჩვენებმა გამარჯვება და მეორეც — გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავდა, იგორ კოკოშკოვი, რომელმაც მებრძოლი და შეკრულ გუნდს ჩამოყალიბება მოახერხა. შეკრების პირველი დღიდან თამაშების დასრულებამდე გუნდთან ერთად იყო საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული კალათბურთელი კოტე ტულუში, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით და მისგან უფრო კონკრეტულად შევიტყობთ, რა ხდებოდა ნაკრებში**

— თავდაპირველად, როგორ შეაფასებდით ნაკრების გამოსვლას შესარჩევი ციკლის პირველ წრეში?

— მგონი, საკმაოდ კარგად დავიწყეთ. თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ სამი თამაში დიდი სხვაობით მოვიგეთ, ერთადერთ წაგებულში კი სულ ორი ქულა დავთმეთ შვედებთან.

— თუმც ალბათ სკანდინავიელებთან მოგებაც შეიძლებოდა.

— რა თქმა უნდა, შვედების დამარცხება სავსებით შესაძლებელი იყო, უბრალოდ, რაღაც პატარა არ გვეყო, რის გამოც წავაგეთ ეგ თამაში.

— რა იყო ეგ პატარა?

— რამდენიმე ფაქტორის დასახელება შეიძლება. მთავარია რომ გუნდი რაღაც მომენტში მოდუნდა და თავი დაღლილობამაც იჩინა. როდესაც თვენახევარს სულ მგზავრობაში, გადაფრენა-გადმოფრენაში და თამაშში ატარებ, წარმოუდგენელია, ერთი ჩავარდნა არ გქონდეს. ჩვენთვის ასეთი, სამწუხაროდ, შვედებთან მატჩი იყო. თუმც იქაც ბოლომდე ვიბრძოლეთ და სულ ცოტა დაგვაკლდა.

— თუ შეადარებდი წინა და ახლანდელ მწვრთნელებს ერთმანეთს?

— წინა მწვრთნელებს დროსაც ვიყავი ნაკრებში და ვიცი, რას აკეთებდნენ ისინი და რას აკეთებს იგორ კოკოშკოვი ახლა. ყველა მათგანი საკმაოდ მაღალი დონის პროფესიონალია, უბრალოდ, ჩვენი ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი უფრო ახალგაზრდა და მონდომებულია. ეს კალათბურთელებსაც გადმოგვედო, შედეგიც სახეზეა. ბოლო წლების მანძილზე პირველად მოხდა ისე, რომ საქართველოს ნაკრები არის გუნდი და არა ერთ რომელიმე კალათბურთელზე ჩამოკიდებული კრებული.

— ამბობენ, რომ გუნდის ასეთი შეკვრა ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმაც განაპირობა...

— ესეც იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ჩვენ ბოლომდე ვიგრძენით, რომ ახლა მთავარია გუნდის წარმატებები იყო, რითაც ცოტათი მაინც უნდა გაგვეხალისებინა ჩვენი თანამოქალაქეებისთვის ცხოვრება და გარკვეული დადებითი წვლილი შეგვეტანა საქვეყნო საქმეში. კმაყოფილები ვიქნებით, თუ ეს ოდნავ მაინც მოვახერხეთ.

— წლევანდელი სანაკრებო სეზონი დასრულდა, ახლა უკვე მომავალზე უნდა დავიწყოთ ფიქრი, რამდენად შესაძლებელია ოთხივე თამაშის მოგება და უმაღლეს დივიზიონში ასასვლელი პლეი ოფის თამაში?

— ახლა, სწორედ მომავალზე ვფიქრობთ. პირველი, რაც წელს მოხდა, საძირკველი ჩაყრილია. დარწმუნებული ვარ, რომ ამის მერე სულ უფრო და უფრო მოვუმატებთ. ასეთ შემთხვევაში კი წარმატებაც მოვა.

— ანუ შვედებს თბილისში სასურველი ანგარიშით მოვუგებთ?

— ჯერ შვედებამდე დანარჩენი ორი ნაკრები უნდა დავამარცხოთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება სკანდინაველებზე ფიქრი. მოდუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, პირიქით, მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო.

— მოსამზადებელ ეტაპზე საქართველოს ნაკრები A დივიზიონის გუნდებსაც ეთამაშა, რაც მთავარია, მოუგო კიდეც თამაშები.

— A დივიზიონის ნაკრებებთან გამარჯვებამ საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა. ეს იყო ძალიან დადებითი და საჭირო მუხტი. დავრწმუნდით, რომ ასეთი დონის გუნდების დამარცხებაც შეგვიძლია. წარმოიდგინეთ, იგივე ლატვიამ თითქმის გაინაღდა ევროპის ჩემპიონატზე თამაში, ამ დროს კი ჩვენ ისინი რიგაში დავამარცხეთ. მოვუგეთ არცთუ ისე სუსტ ჩეხეთს და უკრაინას, რომლებიც ასევე A დივიზიონში ასპარეზობენ. აქედან გამოჩნდა, რომ ჩვენც შეგვიძლია ამ დონეზე თამაში.

— სამაგიეროდ უკვე მერამდენე წელიწადია, ვერ ვახერხებთ B-დან A დივიზიონში გადასვლას...

— სხვათა შორის, არცთუ ისე სუსტია ეს მეორე დონე. აქ ჩერნოგორიას რომ თავი დავანებოთ, თამაშობენ იგივე შვედები, შარშან დაქვეითდნენ A დივიზიონიდან, ბელორუსები, კვიპროსელები. ერთი სიტყვით, საკმაოდ ძლიერი გუნდები შეიკრიბნენ. აქედან მაღლა ასვლა საკმაოდ ძნელი საქმეა, მაგრამ საქართველოს ნაკრები, ჩემი აზრით, უკვე მომწიფდა საამისოდ.

— სულ ბოლოს საკლუბო თემაზეც უნდა გკითხო. წელს კონტრაქტი გააფორმე საქართველოს ჩემპიონ „ენერჯი-ივენსტთან“. რამდენწლიანია ის და რა იმედებით ხვდები ახალ სეზონს?

— კონტრაქტი ერთწლიანია, მაგრამ რა იქნება, ჯერ არავინ იცის, ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ კალათბურთზეც იქონია გავლენა. ჯერ ცნობილი არ არის, როდის დაიწყებს სუპერლიგა და ზუსტად რამდენი გუნდი ითამაშებს მასში. როგორც ვიცი, რამდენიმე კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა.

**გიორგი არაბული**

რაგბი

# ჩაგვხედონ რუსებმა თვალებში!

*ხვალ, თბილისის დროით 18 საათზე, პოლონურ სოპოტში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ B დივიზიონის ნახევარფინალში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები რუსეთის ეროვნულ გუნდს ეთამაშება. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირზე ჩვენებს პირველი ბრძოლა ჰოლანდიელ თანატოლებთან ჰქონდათ. „ბორჯღალოსნებმა“ „ნარინჯისფერებს“ იოლად მოუგეს. ეს მატჩი კვირას გაიმართა, სარუსეთოდ მზადება კი ქართულმა ამქარმა ორშაბათსვე დაიწყო. ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელ დავით ჩავლეიშვილს საღამოს ვარჯიშის შემდეგ შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ.*

— რამდენად კმაყოფილი ხართ ჰოლანდიელებთან თქვენი გუნდის თამაშით?

— მთლიანობაში კარგი შეხვედრა გამოვიდა. მართალია, თავიდან ვაგებდით, მაგრამ მალევე დავალაგეთ თამაში და საკმაოდ იოლად გავიმარჯვეთ. უფრო დიდი ანგარიშითაც შეგვეძლო მოგება. კიდევ სამი ლელო უნდა გაგვეტანა, მაგრამ ტექნიკური უზუსტობის გამო ვერ მოვახერხეთ.

— რა დასკვნები გამოიტანეთ ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ. ამ შეხვედრამ საქართველოს ნაკრების რაიმე სისუსტეები გამოაჩინა?

— სამწუხაროდ, მეტოქე იმდენად სუსტი გამოდგა, რომ დასკვნების გამოტანა გამიჭირდა. ბიჭები იმდენად კარგად და თვალსასეიროდ თამაშობდნენ, რომ ძნელი იყო მათში სუსტი რგოლის მოძებნა. რაც მთავარია, გუნდი გაცილებით უკეთ არის ორგანიზებული, ვიდრე აქამდე იყო. მოთამაშეები შეკრულები და მოტივირებულები არიან.

— ჰოლანდიასთან შეხვედრაში საუკეთესოს გამორჩევა თუ შეიძლება?

— გამიჭირდება. ალბათ მაინც კაპიტანი სანდრო ინაშვილი, რომლის ანგარიშზეც ორი ლელოა.

— უკვე იგრძნობა გუნდში, რომ მომავალი მეტოქე რუსეთის ნაკრებია?

— რა თქმა უნდა, იგრძნობა. ბიჭები გამუდმებით ამაზე ლაპარაკობენ. საოცრად დამუხტულები არიან. ჩვენ ყველანი 24 სექტემბრის მოლოდინში ვართ.

— ნახეთ პოლონეთთან რუსეთის თამაში?

— დიახ, ვნახე. რუსებს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ. შეიძლება დამალეს კიდეც. უფრო პოლონეთმა წააგო, ვიდრე რუსეთმა მოიგო. თავიდან პოლონელები იგებდნენ და მატჩის სადავეებიც ეჭირათ. ბოლოს ბევრი შეცდომა დაუშვეს და ამიტომ დაისაჯნენ.

— ანუ ფიქრობთ, რომ რუსეთთან მატჩში ჩვენ გავიმარჯვებთ?

— რუსებს ხელწამოსაკრავი გუნდი არ ჰყავთ, მაგრამ დღეს ჩვენი ბიჭების თვალებისთვის რომ შეგეხედათ, როცა ისინი ვარჯიშის შემდეგ მომავალ მოწინააღმდეგეებს შემთხვევით შეეჩეხნენ, ყველაფერს მიხვდებოდით. ვფიქრობ, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ.

**ზურაბ მიგრიაული**

სუმო

# გორგაძემ ჩააპლუსა

**ქართველმა** სუმოისტებმა გუშინ მორიგი შეხვედრები გამართეს ტოკიოში მიმდინარე სექტემბრის ბაშოზე. წინა დღისგან განსხვავებით, ამჯერად მხოლოდ ერთმა მოახერხა მოგება, მეორემ კი დამარცხებულმა დატოვა დოჰიო.

მოგება შეძლო ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინმა), მან მეცხრე საშეჯიბრო დღეს ტურნირზე მეხუთე შეხვედრა მოიგო. ახლა გორგაძეს უფრო მეტი გამარჯვება აქვს, ვიდრე მარცხი და ეს პირველად მოხდა.

ქართველი სუმოისტის მეტოქე დასავლეთის მეთხუთმეტე მაეგაშირა კასუგაო იყო. მას ჩვენიანმა ადვილად აჯობა. ახლა ლევანის ანგარიშზე ხუთი მოგება და ოთხი მარცხია.

განსაკუთრებით რთული მეტოქე გორგაძეს არც დღეს ეყოლება. ამჯერად ჩვენიანი დასავლეთის მერვე მაეგაშირა მასაცუკარის ხვდება. ეს სუმოისტი 24 წლის გახლავთ, ხუთი წელია, პროფესიულ სუმოშია, უმაღლეს მაკუუჩი დივიზიონში კი მეორე ტურნირს ატარებს. მისი დებიუტი აქ ივლისის ბაშოზე შედგა. მიმდინარე ტურნირზე მას ნამდვილად არ მისდის საქმეები კარგად — 2 მოგება და 7 მარცხი.

კარგი იქნება, თუ 20 წლის ტოჩინოშინი დღესვე მოახერხებს მოგებათა რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდას. ამით დიდ ნაბიჯს გადადგამს დადებითი ბალანსისკენ, რაც მისი უმთავრესი საზრუნავია.

გუშინ ვერ შეძლო გამარჯვება ლევან ცაგურიამ (კოკაი). მან ტაკამისაკარისთან წააგო. ეს მარცხი ქართველისთვის ამ ტურნირზე მესამე იყო. შესაბამისად, ცხრა დღის შემდეგ პირველი ევროპელი სუმოისტის ანგარიშზე ექვსი გამარჯვება და სამი წაგებაა.

ლევან ცაგურიას მომდევნო მეტოქე აღმოსავლეთის მეთხუთმეტე მაეგაშირა ტამავაში იქნება. ეს გახლავთ 24 წლის მონღოლი რიკიში, რომელიც მაკუუჩი დივიზიონში პირველ ტურნირს ატარებს. სუმოს სამყაროში კი ხუთი წლის წინ (2003 წელს) გამოჩნდა. მას საკმაოდ კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს — 190 სმ და 156 კგ. მიმდინარე ბაშოზე მონღოლს ჯერჯერობით ოთხი მოგება და ხუთი მარცხი აქვს.

მაკუუჩი დივიზიონში საკმაოდ საინტერესოდ ვითარდება მოვლენები. 8-8 მოგებითა და თითო მარცხით შეჯიბრებას ერთდროულად სამი ლიდერი ჰყავს. ამათ შესახებ ქვემოთ დაწვრილებით მოგახსენებთ.

მონღოლმა იოკოძუნამ, ჰაკუჰომ დასავლეთის სეკივაკეს, ტოიონოშიმს მოუგო. რის შემდეგაც მისი მოგება-წაგების მაჩვენებელი 8-1 გახდა. ზუსტად იგივე მდგომარეობაშია მონღოლი სეკივაკე ამა, რომელმაც გუშინ იოკოძუნა ასაშორიუს ტურნირზე მეოთხე მარცხი აგემა.

დღეს ძალიან საინტერესო და, რაც მთავარია, ერთ-ერთი გადამწყვეტი შეხვედრა უნდა შედგეს „რიოგოკუ კოკუგ-კანში“. ორი მონღოლი, შეჯიბრების ორი ლიდერი, იოკოძუნა ჰაკუჰო და სეკივაკე ამა ხვდებიან ერთმანეთს. ამ დაპირისპირებამ ბევრი კითხვას უნდა გასცეს პასუხი.

8 მოგება და ერთი წაგება აქვს კიდევ ერთ სუმოისტს, დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა გოეიდოს, რომელმაც გუშინ დაამარცხა ფუტენო, დღეს კი მონღოლ იოკოძუნას, ასაშორიუს შეხვდება.

**გიორგი არაბული**

F1 Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ყველაზე ხელმოცარული მარად მეორე



**სტირლინგ მოსი**

ინგლისი

დაიბადა 1929 წლის 17 სექტემბერს ლონდონში

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1951-1961 წლებში

მსოფლიოს ოთხგზის (1955-58) ვიცე-ჩემპიონი

1959-1961 წლების მესამე პრიზიორი

პირველი გამარჯვება — დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი (1955, „მერსედეს-ბენცი")

66 რბოლა, 16 მოგება, 24 (16+5+3) პოდიუმი, 16 პოულ-პოზიცია, 19 უსწრაფესი წრე, 186,64 ქულა

გუნდები: **HWM**, „კონაუტი", **ERA**, „კუპერი", „მასერატი", „მერსედესი", „ვენუოლი", **BRM**, „ლოტუსი"

*დიდი ბრიტანეთს, კონკრეტულად კი ინგლისს, ყველაზე მეტი, ექვსი მეფორმულე მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავს. სამშობლოში მათზე არანაკლებ პოპულარულია, იქნებ მეტადაც კი, სტირლინგ მოსი, უმეტეს ქომაგთა აზრით, ყველა დროის საუკეთესო ინგლისელი მრბოლი, რომელმაც ერთხელაც ვერ მოიპოვა ტიტული, თუმც თავისი სამძღოლო ოსტატობითა და პირადული მაღალზნეობრივი, ჯენტლმენური თვისებებით მართლაც რომ ეროვნული გმირი გახდა.*

*თავის რვა სრულ სეზონში მოსმა ზედიზედ ოთხჯერ ვიცეჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო სამჯერ მესამე პრიზიორი იყო. მსგავსი სტაბილურობით ბევრი გვირგვინოსანიც ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ისინი „სამეფო რბოლების" ისტორიაში დარჩნენ თუნდაც ერთგზის ჩემპიონად, სტირლინგი კი — როგორც ფორმულა 1-ის ყველაზე ხელმოცარული პილოტი*

## სამეფო ელიტაში

სტირლინგ მოსი 1929 წელს ინგლისში დაიბადა ოჯახში, რომელშიც ყველანი ავტოსპორტში ტრიალებდნენ. მამამისი, ალფრედი, ინჟინრად მუშაობდა და შვილის სამრბოლო კარიერაში აქტიური წვლილიც შეიტანა. ბუნებრივია, ბიჭი მანქანებით ადრეულ ასაკში დაინტერესდა, ხოლო 18 წლიდან შეჯიბრებებში გამოსვლაც დაიწყო. ეს იყო სამთო რბოლები „კუპერით", შემდეგ მამა-შვილ ჩარლზ და ჯონ კუპერების კომპანიისგან 500 კუბური სანტიმეტრის მოცულობის ძრავიანი მანქანა შეიძინა და წრიულ ტრასებზეც მოსინჯა ძალა. შედეგი დიდად საიმედო აღმოჩნდა — 15 რბოლიდან 11 მოიგო და საბოლოო არჩევანიც გაკეთდა.

სტირლინგმა 1950 წელს უკვე ორჯერ მეტი კუბატურის, ფორმულა 2-ის მანქანით რამდენიმე ეტაპზე გაიჯირითა და საკმაო წარმატებითაც, რის შემდეგაც უმაღლეს ფორმულაში მიიწვიეს.

დებიუტი 1951 წლის 27 მაისს შვეიცარიის გრან პრიზე ჰქონდა საშუალოძალოვანი „HWM ალტა"-თი. 21 წლის ახალბედამ თავიდანვე მიიქცია საყოველთაო ყურადღება — 21 მონაწილეს შორის მე-14 პოზიციიდან დაწყებული რბოლა მერვემ დაასრულა. მოსის თანაგუნდელი ჯორჯ აბეკასისი ბრძოლას შუა დისტანციაზე გამოეთიშა. ეს ბრიტანული გუნდისთვის იმ სეზონში ერთადერთი ეტაპი გამოდგა.

მომდევნო სეზონში სტირლინგმა თავისებური რეკორდიც კი დაამყარა — სამი გუნდის ბოლიდებს მართავდა, თუმც ხუთივე გრან პრიზე ფინიშამდეც ვერ მიაღწია. იგივე ნულოვანი შედეგი 1953 წელს გამეორდა. მიზეზი გასაგებია, იგი ხომ ბრიტანული მანქანების საჭეს უჯდა, რომლებიც ბევრად ჯანიან იტალიურ ბოლიდებს წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ.

1954 წელს მოსი „მასერატიმ" მიიწვია და მალე, ბელგიაში ურთულეს ბრძოლაში მესამე ადგილით უკვე ყველა დარწმუნდა, რომ ახალი ბრიტანელი ვარსკვლავი დაიბადა. მას „მერსედესის" ლეგენდარულმა ბოსმა ალფრედ ნოიბაუერმა დაადგა თვალი, ხელსაყრელი კონტრაქტი გაუფორმა და არგენტინელ „მაესტრო" ხუან მანუელ ფანხიოს შეუწყვილა. სუპერდუეტმაც შეფს იმედი ასი პროცენტით გაუმართლა და ჩემპიონობა დუბლით (პირველ-მეორე ადგილები) მოიპოვა. ფანხიომ ექვსიდან ოთხი დიდი პრიზი მოიგო და „თამაშთამაშ" გაიფორმა მესამე ტიტული. სტირლინგი ერთი გამარჯვებითა და კიდევ ორი მეორე ადგილით ვიცე-ჩემპიონი გახდა.

## პირველად პირველი

მოსმა პირველი საკარიერო მოგება ინგლისში ეინტრის ტრასაზე დააჭაშნიკა, მაგრამ, საერთო აზრით, „მაესტრომ" ზედ ფინიშთან თანაგუნდელი გაატარა და სამშობლოში გამარჯვების შანსი მისცა. კეთილშობილი ბრიტანელის დაჟინებით, გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი პოდიუმზე ფანხიოს ჩამოაცვეს კისერზე.

სტირლინგი პარალელურად სხვა სახის რბოლებშიც მონაწილეობდა, რასაც კი შესთავაზებდნენ და პრაქტიკულად ყველგან წარმატებებს აღწევდა. მოგებული აქვს 21 პრესტიჟული გრან პრი, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატების ჩათვლაში არ შედიოდა, თუმც არანაკლებ პოპულარულები იყო და ყოველწლიურად სატიტულო ეტაპებზე გაცილებით მეტიც ეწყობოდა.

1955 წელს მოსმა და დენის ჯენკინმა „მერსედესით" იტალიის გზებზე ლეგენდარული ათასმილიანი მარათონი „მილე მილია" მოიგეს. იმავე წლის შემოდგომაზე პიტერ კოლინსთან ერთად არანაკლებ პოპულარულ „ტარა ფლორიოზე" იპირველა სიცილიის გზებზე. აგრეთვე ორჯერ მოიგო გერმანიაში „ნიურბურგრინგის" ათასკილომეტრიანი რბოლა „ფერარით" და „ასტონ მარტინით". ის კი არა, სტირლინგი რალის ეტაპებზეც გამოსულა — 1953 წელს „რალი მონტე კარლოზე" მეორე ადგილზე გავიდა.

1956 წლის ჩემპიონატიც არგენტინელის ტრიუმფით აღინიშნა, ინგლისელი კვლავ მის უკან დარჩა.

შემდეგ მოსი ინგლისელთა ბანაკში დაბრუნდა — ახალშექმნილ „ვენუოლში" და ეროვნული გმირიც გახდა. ბრიტანეთის გრან პრიზე ეინტრიში მან კვალიფიკაცია მოიგო და პირველი პოზიციიდან დაწყებულ რბოლაში კარგა ხანსაც ლიდერობდა, მაგრამ მერე ძრავის პრობლემების გამო ბოქსში მოუწია შეჩერება. რაკი მექანიკოსებმა ვერაფერი უშველეს, თანაგუნდელი ტონი ბრუქსი გამოიძახეს, რომელიც მეექვსე მიდიოდა და სტირლინგიც მის ბოლიდში გადაჯდა. ტრასაზე მხოლოდ მეცხრე დაბრუნდა, მაგრამ ყველა წინმყოფი ჩამოიტოვა და უახლოეს მდევარ ლუიჯი მუსოს „ლანჩას" ფინიშზე 26 წამით მიასწრო.

ეს იყო ბრიტანელი მრბოლის პირველი გამარჯვება ბრიტანული მანქანით ბრიტანეთის გრან პრიზე. მოსმა ამას იტალიაში ორი ჩინებული მოგება მიაყოლა — ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე პესკარაში და მილანის მახლობლად მონცაში, და მაინც, 1957 წლის საბოლოო შედეგი „ტრადიციული" გახლდათ — გვირგვინოსანი ფანხიო და ვიცე-ჩემპიონი მოსი.

სამხრეთამერიკელი მომდევნო სეზონში სრული პროგრამით გამოსვლას აღარ აპირებდა, რაც ინგლისელ პილოტს მთავარ ფავორიტად ხდიდა.

## ჯენტლმენობის ფასი

1958 წლის ჩემპიონატი ბრიტანელ მრბოლთა თითქმის აბსოლუტურ ბენეფისად იქცა, მათ ათიდან ცხრა დიდი პრიზი დაისაკუთრეს და გენერალურ კლასიფიკაციაშიც პირველი ოთხი ადგილი დაიკავეს.

იმ სეზონისთვის რობ უოკერმა, სახელგანთქმული ვისკის „ჯონი უოკერის" მწარმოებლის შთამომავალმა, კუპერებისგან „კოვენტრი-კლიმას" ძრავიანი ბოლიდები შეიძინა და გუნდშიც სწორედ მოსი აიყვანა. ინგლისელმაც თანამემამულესთვის ჩემპიონატის პირველივე ეტაპზე არგენტინაში ლურჯი „კუპერ-კლიმა T43"-ით სენსაციური გამარჯვება მოიპოვა, როცა დამაჯერებლად სძლია ორ ფერარელს და ექვს მასერატელს ფანხიოს „თამადობით". ეს იყო პირველი მოგება კორპუსის უკანა მხარეს მდებარე ძრავიანი მანქანით, ამასთან არა „ქარხნული", არამედ კერძო პირის გუნდისა.

სეზონის დანარჩენი ცხრა რბოლა მოსმა ისევ „ვენუოლით" ჩაატარა. ტიტულის ბედი ბოლო ეტაპზე, კერძოდ, კასაბლანკაში, მაროკოს გრან პრიზე გადაწყდა.

გვირგვინზე პრეტენზიას ორნი აცხადებდნენ — თანატოლი, 29 წლის ინგლისელები, მოსი და მაიკ ჰოტორნი. სტირლინგს სამი მოგება ჰქონდა, კონკურენტს მართალია, მხოლოდ ერთი, მაგრამ ამასთან კიდევ ოთხი მეორე ადგილი. ამდენად მცირე უპირატესობა ჰოტორნის მხარეს იყო. სტირლინგმა „აინ-დიაბზე" შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა, მაიკი წუთით და 15 წამით ჩამოიტოვა, თუმც ამ უკანასკნელს მეორე ადგილიც ეყო ტიტულის მოსაპოვებლად — „მარად მეორე" თანამემამულეს ერთი ქულით აჯობა.

მაგრამ ტიტულის ოფიციალურ გაფორმებამდე დავიდარაბა ატყდა — ჰოტორნი დისკვალიფიკაციით დასაჯეს რბოლისას, აქაოდა, საწინააღმდეგო მხარეს იმოძრავაო. ერთ-ერთ მოსახვევში მისი „ფერარი" ტრასიდან გავარდა და ძრავა ჩაუქრა. დაქოქვის მერე, ვიდრე რბოლას დაუბრუნდებოდა, გეზის გასასწორებლად მცირე მანძილის გავლა მართლაც საპირისპირო მოძრაობით მოუხდა, რაც დაუშვებელია.

სკუდერიელებმა, ცხადია, განაჩენი გაასაჩივრეს და მაშინ აპელაციაზე გამოიძახეს ამ ფაქტის შემსწრე მოსი. იმანაც გულწრფელად აღიარა საკუთარი თავის საზიანო სიმართლე, კერძოდ ის, რომ მაიკი მართლაც მოძრაობდა საწინააღმდეგო მიმართულებით, მაგრამ ეს იყო ტრასის მიღმა, ამას კი წესები არ კრძალავდა და ჰოტორნიც გაამართლეს. სტირლინგს რომ ეთქვა, არ დამინახავსო, სასჯელი ძალაში დარჩებოდა, ჰოტორნს სამეორეადგილო ექვსი ქულა მოაკლდებოდა და ჩემპიონის ტიტულით მოსის იქნებოდა, მაგრამ მან ეს არ იკადრა და თქვა ის, რაც რეალურად მოხდა. და ეს პატიოსნება მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულად დაუჯდა. ასეა, ჯენტლმენ მოსს სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო, მან ტიტული სიმართლეს და პატიოსნებას ანაცვალა.

— სტირლინგს პირველ ადგილზე გონება რომ დაეყენებინა და არა გრძნობები, აუცილებლად გახდებოდა მსოფლიოს ჩემპიონი. მან ეს დაიმსახურა, როგორც სხვა არავინ — თქვა მომხდარის შემდეგ ჰოტორნის ბოსმა ენცო ფერარიმ.

## ნაადრევი ფინალი

ერთი სიტყვით, მოსს ჩემპიონის გვირგვინამდე კინკილა ნაბიჯი ზედიზედ მეოთხედ დააკლდა, თუმც ხელი არ ჩაუქნევია, ბრძოლა გააგრძელა. მაგრამ ნაკლებად მძლავრი მანქანები ტიტულის მოგების შანსს არ აძლევდა. შედეგად, ბოლო სამ სეზონში „მხოლოდ" სამი მესამე ადგილი.

1960 წელს სტირლინგმა რობ უოკერს მეორე სიურპრიზი მოუმზადა, მის ახალ გუნდ „ლოტუსს" ისევ პირველი გამარჯვება მოუპოვა. მაგრამ იმავე სეზონში, ორი თვის შემდეგ, ბელგიაში საკვალიფიკაციო ჭიდილისას უმძიმესი ავარია შეემთხვა, მანქანიდან გადმოვარდა და ორივე ფეხი მოიტეხა. მართალია, ოთხი ეტაპის გამოტოვება მოუხდა, მაგრამ მაინც შეძლო გენერალურ კლასიფიკაციაში მესამე საფეხურზე დამკვიდრება.

ხოლო კარიერა მაინც ავარიის მიზეზით, ნაადრევად, 32 წლისამ დაასრულა. 1962 წლის 23 აპრილს ინგლისში, გუდვუდის ტრასაზე ტრადიციული სააღდგომო რბოლისას სტირლინგის „ლოტუსი" ლიდერ გრემ ჰილის BRM-ს წამოეწია და გასწრების ცდისას „წმინდა მერის" მოსახვევიდან გატყორცნილი რამდენჯერმე ამობრუნდა. კოკპიტი ისე იყო დაჭეჭყილი, რომ გონდაკარგული მძღოლის ამოყვანას მაშველებმა ნახევარ საათზე მეტი მოანდომეს. თავის მძიმე ტრავმითა და არაერთი მოტეხილობით იგი ჰოსპიტალში გააქანეს, სადაც ექიმებმა, საბედნიეროდ, შეძლეს კრიტიკული მდგომარეობიდან გამოყვანა.

ხანგრძლივი მკურნალობის შედეგად სტირლინგი სრულიად გამოჯანმრთელდა, მაგრამ ფორმულა 1-ის ბოლიდში აღარასოდეს ჩამჯდარა. თუმც დიდხანს, მოხუცებულობამდე მაინც გამოდიოდა სხვადასხვა კატეგორიის სპორტული ავტოებით.

1962 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გრემ ჰილი გახდა: „მომდევნო სეზონში მე პირველი ალბათ აღარ ვიქნები და საერთოდაც ჩემპიონის ტიტული სულაც არ მოწმობს, რომ საუკეთესო მრბოლი ვარ. ჩემთვის საუკეთესოდ სამუდამოდ სტირლინგ მოსი დარჩება".

შარშანწინ 77 წლის მოსი საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ ავტოსპორტის განვითარებაში მრავალწლიანი ღვაწლისთვის საგანგებო ოქროს მედლით დააჯილდოვა.

— ფედერაციისგან ეს პირველი ჯილდოა, რომელიც ცხოვრებაში მივიღე, რაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს — ბრძანა „დიდმა „უილბლომ" დაგვიანებული აღიარების მიღებისას.

**გია ახალაძე**

la vuelta'08

## 63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო - 21 სექტემბერი

*„ლა ვუელტა ესპანას“ პოდიუმის თავში ესპანელი დაბრუნდა. ალბერტო კონტადორი ბოლო ოთხ წელიწადში ესპანური მრავალდღიანი ველოტურის პირველი ესპანელი ჩემპიონი შეიქნა. და როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ის კიდევ არაერთხელ შეკრავს ესპანეთის დიდ საგ ზაო მარყუჟს.*



# კონტადორი ლეგენდების გვერდით

**კონტადორი** ჯერ მხოლოდ 25 წლისაა, ყველაფერი წინ აქვს, მას კი უკვე წარსულითაც შეუძლია ტრაბახი. უიშვიათესი რამ შეძლო, მოიგო სამივე მრავალდღიანი ველოტური, თანაც ეს დროის სარეკორდო ინტერვალში შეძლო. 2007 წელს მან მხოლოდ 24 წლისამ მოიგო ზეპრესტიჟული ტურ დე ფრანსი. მართალია, კრიტიკოსები მის ზურგსუკან ალაპარაკდნენ, კანონიერ ჩემპიონ მიქაელ რასმუსენის დისკვალიფიკაცია რომ არა, ვერაფერსაც ვერ მოიგებდაო. მაგრამ, ასეა თუ ისე, ის ფრანგული ველოტურის ჩემპიონთა სიაშია და უდავოდ ნიჭიერი რომაა, ეს მან 2008 წელსაც არაერთხელ დაამტკიცა. მისი დიდი სამეულის მეორე რგოლი იტალიური ჯირო გახლდათ, რომელიც კონტადორმა ასევე შემთხვევით, ოღონდ სრულიად დამსახურებულად მოიგო. წლეულს ის არ აპირებდა იტალიაში გამოსვლას და ტურისთვის ემზადებოდა, მაგრამ სულ ბოლო მომენტში მაინც ჩავიდა აპენინებზე, სტარტზე მასზე მეტად მომზადებულ მრბოლების გვერდით დადგა და... 23 დღეში საჩემპიონო ინსიგნაციებიც ჩაიბარა. ამ ჯერზე უკვე ალარავის დასცდენია აუგი ესპანელის მიმართ — ის გაუსაჩივრებლად საუკეთესო იყო.

კონტადორს გაუცდა ამ ზაფხულის ტურ დე ფრანსი, მისი გუნდი „ასტანა“ საერთოდ არ გამოსულა საფრანგეთში, ასე რომ, ესპანელს კარგი შანსი მიეცა, ცოტა დაესვენა, შემდეგ კი მშობლიური ვუელტასთვის მოყოჩაღებულიყო და სექტემბერში მან ისე იარა ესპანურ მთებზე, რომ საბოლოოდ ჩააცხრო კრიტიკოსები და მათგან ბევრი გადაიბირა თავისი ნიჭის მადიდებელთა რიგებში. კონტადორი არც ისე გამოცდილა, სხეულიც არა აქვს ისე მომაგრებული, რომ თეორიაში საუკეთესოთა შორის დააყენონ. მაგრამ მის რბოლის კონტროლის უნარს, გამძლეობას და მთებში სიარულის ნიჭს ალფრთოვანებაში მოჰყავს ველოსპორტის ჭეშმარიტი გურმანები.

„მას შეუძლია, გაუტოლდეს ყველაზე დიდებს. მას ყველაფერი წინ აქვს“ — ამბობენ ყველაზე ავტორიტეტული და მრავლისმნახველი მიმომხილველები. ვინ არიან ყველაზე დიდები? ედი მერქსი, ჟაკ ანკეტილი, ბერნარ ინო, მიგელ ინდურაინი, ლენს არმსტრონგი...

მერქსს, ანკეტილს, ინოსა და მათთან ერთად ფელიჩე ჯიმონდის მოგებული აქვთ სამივე პრესტიჟული ველოტური. კონტადორი ამ საპატიო მოკლე სიაში მეხუთე კაცად ჩაეწერა, ამასთან მან სამეული სარეკორდო დროში, მხოლოდ 15 თვეში შეკრა და გააუმჯობესა ინოს 26-თვიანი მიღწევა.

დიახ, კონტადორი დღესდღეობით საუკეთესო გუნდში გამოდის. ყაზახური „ასტანა“ ყველაზე კარგად დაფინანსებულიცაა და შემადგენლობაც სულ ნარჩევი ჰყავს, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ აკნინებს ახალი ჩემპიონის მიღწევებს. პირიქით, მან სძლია შიდა კონკურენციას და ხშირად თანაგუნდელებთანაც უწევდა ბრძოლა, რომლებიც ასევე აცხადებდნენ პრეტენზიას გუნდის პირველ ნომრობაზე და შესაბამისად ჩემპიონობაზე. რადგან „ასტანამ“ ტური გამოტოვა, ყაზახურ სუპერგუნდი სრული, უძლიერესი შემადგენლობით დაადგა ესპანურ გზატკეცილებს. გამარჯვება სურდა ამერიკელ ლევი ლეიფჰეიმერსაც, რომელიც 2001 წელს ესპანეთში მესამე იყო და ახლაც მშვენიერ ფორმაშია. პირველობაზე უარს არ იტყოდა გერმანელი ანდრეას კლოდენიც, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ ეს ვუელტა ჭაბუკი ალბერტოსი იყო, განსაკუთრებით უსაშინლესი მთის, ალტო დე ლანხლირუს სრული დამაჯერებლობით დაპყრობის შემდეგ.

„მე ვიტყოდი, რომ დღეს ალბერტო ჩვენს გუნდში ულაპარაკოდ პირველია, ჩვენი არაოფიციალური კაპიტანია და მან ეს წოდებები პირადად, მხოლოდ საკუთარი შრომით დაიმსახურა — ამბობს ამ ვუელტაზე საბოლოოდ მეორე ადგილზე გასული ლეიფჰეიმერი — მან მოიგო ტური, მოიგო ჯირო, ის საუკეთესო იყო ვუელტაზე... არა მგონია, ვინმე დარჩენილიყოს, ვინც მის ნიჭს არ აღიარებს.“

**ირაკლი ფირაშვილი**

### ვუელტას ჩემპიონები 1960 წლის შემდეგ

2008 ა. კონტადორი (ესპანეთი)
2007 დ. მენშოვი (რუსეთი)
2006 ა. ვინოკუროვი (ყაზახეთი)
2005 დ. მენშოვი (რუსეთი)
2004 რ. ერასი (ესპანეთი)
2003 რ. ერასი (ესპანეთი)
2002 ა. გონსალესი (ესპანეთი)
2001 ა. კასერო (ესპანეთი)
2000 რ. ერასი (ესპანეთი)
1999 ი. ულრიხი (გერმანია)
1998 ა. ოლანო (ესპანეთი)
1997 ა. ცულე (შვეიცარია)
1996 ა. ცულე (შვეიცარია)
1995 ლ. ჟალაბერი (საფრანგეთი)
1994 ტ. რომინგერი (შვეიცარია)
1993 ტ. რომინგერი (შვეიცარია)
1992 ტ. რომინგერი (შვეიცარია)
1991 მ. მაური (ესპანეთი)
1990 მ. ჯოვანეტი (იტალია)
1989 პ. დელგადო (ესპანეთი)
1988 ს. კელი (ირლანდია)
1987 ლ. ერერა (კოლუმბია)
1986 ა. პინო (ესპანეთი)
1985 პ. დელგადო (ესპანეთი)
1984 ე. კარიტო (საფრანგეთი)
1983 ბ. ინო (საფრანგეთი)
1982 მ. ლეხარეტა (ესპანეთი)
1981 გ. ბატალგინი (იტალია)
1980 ფ. რუპერესი (ესპანეთი)
1979 ხ. ზოეტემელკი (ჰოლანდია)
1978 ბ. ინო (საფრანგეთი)
1977 ფ. მერთენსი (ბელგია)
1976 ხ. პასაროდონა (ესპანეთი)
1975 ა. ტამამესი (ესპანეთი)
1974 ხ. ფუენტე (ესპანეთი)
1973 ე. მერქსი (ბელგია)
1972 ხ. ფუენტე (ესპანეთი)
1971 ფ. ბრაკე (ბელგია)
1970 ლ. ოსანა (ესპანეთი)
1969 რ. პინჟეონ (საფრანგეთი)
1968 ფ. ჯიმონდი (იტალია)
1967 ხ. იანსენი (ჰოლანდია)
1966 ფ. გაბიკა (ესპანეთი)
1965 რ. ვოლფშოლი (გერმანია)
1964 რ. პულიდო (საფრანგეთი)
1963 ჟ. ანკეტილი (საფრანგეთი)
1962 რ. ალტიგი (გერმანია)
1961 ა. სოლერი (ესპანეთი)
1960 ფ. დე მულდერი (ბელგია)



# მოდაშია ჩინეთი

## პეკინის მერე მძლეოსნებმა შანხაიშიც შეიარეს

**სამძლეოსნო** სეზონის დასრულების პირზე სპორტის ამ სახეობის რამდენიმე ცნობილმა წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ შეიარა ქვეყანაში, სადაც ერთი თვის წინ ოლიმპიადაზე გამოდიოდა, ოღონდ არა პეკინში, არამედ ჩინეთის ეკონომიკურ დედაქალაქ შანხაიში, სადაც ამ უქმეებზე ოქროს გრან პრიდ წოდებული კომერციული ტურნირი ჩატარდა.

ქალთა შორის ჭოკით ხტომაში, რა თქმა უნდა, ბადალი არ ჰყავდა ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონსა და მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენ ელენა ისინბაევას, თუმც შანხაიში მისი გამოსვლა უფრო სიმბოლურ და კომერციულ ხასიათს ატარებდა, რაკი ელენას კონკურენტებისგან დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია და სპორტული კუთხით თავისუფლებამინიჭებულს თავი დიდად არ შეუწუხებია — 4,60-მეტრიანი ნახტომით მოიგო მაშინ, როდესაც პეკინში მის მიერ დამყარებული მოქმედი რეკორდი ხუთ მეტრს ამღნივე სანტიმეტრით აღემატება.

გაცილებით საინტერესო გამოვიდა 110 მეტრზე კაცთა თარჯრბენში შეჯიბრი. ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიო რეკორდსმენს, კუბელ დეირონ რობლესს არ უზარმაცია, შანხაიში ჩასვლა არ დაიზარა, თუმც მომქანცველი სეზონის შემდეგ კარგა ორ-სამთვიან დასვენებას ალალად იმსახურებს. თუმც 22 წლის ქურციკს ფინალის წინ ძველმა მიკროტრავმამ შეახსენა, რომ ამქვეყნად ყველაფერი იდეალურად არ ხდება და სარბიელს მიღმა დატოვა. იმარჯვა პეკინში მის ზურგსუკან მეორე ადგილის დამჭერმა, ამერიკელმა დევიდ ოლივერმა არცთუ სოლიდური 13,25-წამიანი შედეგით. მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ მათ ვერ იხილეს თავიანთი ჯილა, ექსრეკორდსმენი ლიუ სიანი (ოლიმპიადაზე გამიზეზებულმა ტრავმამ სულ ცოტა, ნახევარი წლით მოსწყვიტა სარბენ ბილიკს). სამაგიეროდ, ივარგა ნაკლებცნობილმა ჩინელმა კალიამ ქსიე ვენჯუნმა, ვინც 13,47 წამში ირბინა, პირადი რეკორდიც დაამყარა და ოლივერის გარდა ყველა სხვას გაასწრო.

100 მეტრზე შეჯიბრმა იამაიკელი დიდგვაროვნების — უსაინ ბოლტისა და ასაფა პაუელის გარეშე ჩაირბინა, მაგრამ პირველ-მეორე ადგილები მაინც იამაიკელებმა გაიყვეს — მაიკლ ფრატერმა (10,05) სულ ოდნავ აჯობა თანამემამულე ნესტა კარტერს. სხვათა შორის, ამ დუეტმა ზემოხსენებულ ბოლტ-პაუელთან ერთად მსოფლიო რეკორდის თანხლებით მოიგო 4×100 მეტრზე ესტაფეტა.

სპრინტში იამაიკელთა ალმატება ქალებშიც კიდევ ერთხელ დამტკიცდა. 200 მეტრზე სირბილში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვერონიკა კემპბელ-ბრაუნმა შანხაიში 100 მეტრზე იფეხმარდა, 11,01 წამში ირბინა და მთელი 0,25 წამით ჩამოიტოვა ამერიკელი მდევარი ლორინ უილიამსი.



ელენა ისინბაევა შანხაიშიც საუკეთესო იყო

ქალთა 400 მეტრიც იამაიკელმავე მოიგო — შერიკა უილიამსს ერთი თვის წინ პეკინში ვერცხლი შეხვდა, თუმც მან ახლა ნაწილობრივ მაინც იყარა ჯავრი ბრიტანელ კრისტინ ოჰურუოგუზე.

კაცთა ბირთვის კვრაში ოლიმპიადაზე ძლეულმა ამერიკელმა კრისტიან კანტველმა ერთ კვირაში მეორედ დაამარცხა მძლეველი ტომაშ მაჟევსკი. კანტველმა 20,84-მეტრიან ნაკრავით ნახევარ მეტრზე მეტი მოუგო უდარდელ პოლონელს, ვინც აშკარად დაკმაყოფილებულია ოლიმპიური ჩემპიონობით და ასეთ მეორად ტურნირებზე ვალის მოსახდელად და სალაბუცოდ თუ დადის.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევისის თასი

**ნახევარფინალი**

**ესპანეთი 4:1 აშშ**

რაფაელ ნადალი — სემ ქუერეი 6:7 6:4 6:3 6:4

დავიდ ფერერი — ენდი როდიკი 7:5 2:6 1:6 6:4 8:6

ფელიჩიანო ლოპესი/ფერნანდო ვერდასკო — მაიკ ბრაიანი/მარდი ფიში 6:4 4:6 3:6 6:4 4:6

ნადალი — როდიკი 6:4 6:0 6:4

ლოპესი — ქუერეი 7:6 7:6

**არგენტინა 3:2 რუსეთი**

დავიდ ნალბანდიანი — იგორ ანდრეევი 7:6 6:2 6:4

ხუან-მარტინ დელ პოტრო — ნიკოლაი დავიდენკო 6:1 6:4 6:2

გილერმო კანასი/ნალბანდიანი — იგორ კუნიცინი/დმიტრი ტურსუნოვი 2:6 1:6 7:6 6:3 6:8

ნალბანდიანი — დავიდენკო 6:3 3:6 6:7 0:7

დელ პოტრო — ანდრეევი 6:4 6:2 6:1

*დევისის თასს ახალი გამარჯვებული ეყოლება. აშშ ამ უქმეებზე ესპანეთში დამარცხდა და დაკარგა ჩემპიონის წოდება. წაავგო ვიცე-ჩემპიონმა და შარშანწინდელმა გამარჯვებულმა რუსეთმაც, რომელსაც არგენტინაში მოუწია კაპიტულაციის გამოცხადება.*



ესპანეთი ფინალში, ნადალი ჰაერში

# ვისთვის იმღერებს თიხა?

## დევისის თასის ფინალში ესპანეთი და არგენტინა შეიყარნენ

**ესპანეთ-აშშ-ს** ჯახი მადრიდში გაიმართა. მასპინძლებმა სათიხნარო კორტები კორიდის ლეგენდარული სტადიონ „პლაზა დე ტორეს ლოს ვენტასზე" გაშალეს და იანკებს 21 000-იანი გადავსებული ტრიბუნები დაახვედრეს. ამის მიუხედავად, ამერიკელებს თავიანთ სასარგებლოდ მიაჩნდათ ესპანეთის დედაქალაქში ჩასვლა, რადგან მადრიდი ზღვის დონიდან 667 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, რის გამოც ჰაერი უფრო გამჭვირვალეა და ვითომდა ამას ძლიერი ჩამოწოდების იმედზე მყოფ იანკთა წისქვილზე უნდა დაესხა წყალი. თუმც ეს თავიდანვე ხავსს ჩაჭიდებული განწირული კაცის იმედს უფრო ჰგავდა, რაშიც შაბათ-კვირასაც დავრწმუნდით. ესპანელებმა არ დაარღვიეს სტადიონისთვის დამახასიათებელი სანახაობების ტრადიცია და როგორც საუკუნეების განმავლობაში მათი წინაპრები აქ ხარებს ხოცავდნენ ხალხის სასეიროდ, პირინეელი მეჩოგნეებიც ასე უმოწყალოდ გაუსწორდნენ ოკეანგაღმიდან ჩამოსულებს.

უპირველეს მატადორად რაფაელ ნადალი იქცა, რომელმაც კიდევ ერთხელ ყველას თვალნათლივ დაანახვა, რომ თიხნარზე მისი მჯობნი დღესდღეობით დედამიწის ზურგზე არავინ დაიარება. რაფამ შესაშური ცივსისხლიანობით მოიგო ერთეულთა ორივე შეხვედრა და, როგორც ნამდვილ ლიდერს ეკადრება, ლომის წვლილი დაიდო ნაკრების წარმატებაში.

არადა, ბევრს აფიქრებდა ნადალის ფორმა. რაფამ ამერიკელთა ჩამოსვლამდე კი განაცხადა, ყველაფერს გავაკეთებ სასურველი მიზნის მისაღწევადო, მაგრამ საკითხავი იყო ამ „ყველაფრის" თავი ჰქონდა თუ არა — მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ხომ წლეულს არნახულად გადატვირთული კალენდრით ითამაშა და სეზონში 70 შეხვედრაზე მეტი ჩაატარა. ამიტომ რაფას ბოლო პერიოდში აშკარად დაეტყო გადაღლილობა, რაც აშშ-ს ღია პირველობაზეც დავინახეთ, როცა ენდი მიურეისთან ნახევარფინალში იგი ძლივს სუნთქავდა. არადა, ნადალის ფიზიკურ მომზადებაზე რა ხანია, ლეგენდები დადის და მისი ასეთ მდგომარეობაში ხილვა ბევრისთვის ლამის შოკად იქცა.

ამერიკელებთან ჯახის წინ მასპინძელთა შტაბში მხოლოდ იმაზე ნერვიულობდნენ, რამდენად დასვენებული იყო ნადალი... ესპანელთა შიშები თითქოსდა გამართლდა სემ ქუერეისთან შეხვედრის დროს. თავიდან ძალიან თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და კლასში დიდი სხვაობის მიუხედავად, ამერიკელი არაფერს უთმობდა მასპინძელთა ლიდერს. მეტიც, ქუერეიმ პირველი სეტი ტაიბრეიკზე მოიგო და წინაც გავიდა. თუმც, როგორც აღმოჩნდა, რაფას უბრალოდ დრო სჭირდებოდა საჭირო ტონუსის საპოვნელად და როგორც კი რიტმი დაიჭირა და მადრიდულ გრუნტსაც გაუშინაურდა, ყველაფერი წესრიგში მოიყვანა — ზედიზედ სამი სეტი მოიგო და ესპანეთს პირველი ქულა მოუტანა.

მასპინძელთა საქმეები კიდევ უფრო გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც დავიდ ფერერმა უდრამატულეს ოთხსაათიან ჯახში გამარჯვება გამოჰგლიჯა ენდი როდიკს. არადა, ამერიკელს აქამდე დევისის თასზე ზედიზედ 9 შეხვედრა მოეგო. ასეა თუ ისე, პარასკევის შემდეგ მასპინძლები 2:0 ლიდერობდნენ.

წესით და რიგით, ესპანელებს ფინალის საგზური უკვე შაბათს უნდა მოეპოვებინათ — ამერიკელებს ხომ თავიანთ სუპერწყვილიდან, ტყუპი ძმებიდან ერთ-ერთი, ბობ ბრაიანი აკლდათ. მაგრამ მარდი ფიშმა მშვენივრად ჩაანაცვლა იგი და მაიკთან ერთად საოცრად ლამაზ, ხუთსეტიან შეხვედრაში იანკთათვის პირველი ქულის მოპოვება და ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება შეძლო.

ყველაფერი კვირას უნდა გადაწყვეტილიყო და აქ ისევ ვის, თუ არა ნადალს უნდა აეღო თავის თავზე გადამწყვეტი ქულის მომპოვებლის მისია. რაფამაც ამას ბრწყინვალედ გაართვა თავი და როდიკთან შეხვედრაში სპექტაკლი დადგა, როცა უმაღლესი დონის ჩოგბურთი აჩვენა და თავგანწირვით მებრძოლი ამერიკელი პირწმინდად გაანადგურა.

„საოცრად ვითამაშე. არც მეგონა, რომ წლის ბოლოსთვის ასე თამაშის თავი კიდევ მექნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ იდეალური ვიყავი. წარმოუდგენელი დარტყმები ჩავაგდე" — გახარებული იყო ნადალი, რომელიც ნამატჩევს თანაგუნდელებმა ხელებში აიყვანეს და კორტი შემოატარეს, მაყურებელმა კი ისეთი ტაშით დააჯილდოვა, როგორიც ალბათ არც ერთ მატადორს არ ღირსებია.

„ჩვენ თიხნარზე ყველა დროის ალბათ საუკეთესო მოთამაშესთან გვიწევდა თამაში. ხომ უყურეთ, რეებს სჩადიოდა და ჩვენ აბა, რაღა უნდა გვექნა" — ნადალით აღფრთოვანებას ვერ მალავდა აშშ-ს კაპიტანი პატრიკ მაკინროიც.

ბოლო და არაფრის გადამწყვეტ მატჩში კი ფელიჩიანო ლოპესმა შეძლო ქუერეის დამარცხება და ესპანელთა უპირატესობას შთამბეჭდავი სახე მისცა — 4:1.

* * *

კიდევ უფრო დაძაბული და საინტერესო ჯახი გაიმართა მეორე ნახევარფინალში, სადაც არგენტინამ კინაღამ ხელიდან გაუშვა თითქოსდა განაღდებული მოგება. მაგრამ პატაგონიელებს მხსნელად ხუან მარტინ დელ პოტრო ექცათ. ამ თინეიჯერმა ერთეულთა ორივე შეხვედრაში იმარჯვა და მასპინძელთა გამარჯვებაში ისეთივე წვლილი შეიტანა, როგორც ნადალმა ესპანელთა ტრიუმფში.

ეს შეხვედრა ესპანეთ-აშშ-ს ჯახის ანალოგიური სცენარით დაიწყო, რადგანაც არგენტინელებმა პარასკევს ორივე მატჩი მოიგეს და სერიოზული ჰანდიკაპიც შეიქმნეს. დავიდ ნალბანდიანს მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, შემდეგ კი უპრობლემოდ წააქცია იგორ ანდრეევი. აი, დელ პოტრომ კი უბრალოდ შეარცხვინა მსოფლიოს მეექვსე ნომერი ნიკოლაი დავიდენკო და სლავთა ლიდერს მხოლოდ 7 გეიმი აღებინა.

შაბათის წყვილთა შეხვედრაში კი რუსთა კაპიტანმა შამილ ტარპიშევმა აშკარად გარისკა და დმიტრი ტურსუნოვთან ერთად კორტზე ამ დონეზე თამაშში გამოუცდელი იგორ კუნიცინი შეუშვა. რისკმა გაამართლა და რუსებმა შეძლეს ანგარიშის შემცირება, როცა ხუთ სეტში დიდი წვალებით, მაგრამ მაინც მოუგეს ნალბადიან-გილერმო კანასის დუეტს.

ამერიკელთაგან განსხვავებით, რუსები ამაზე აღარ გაჩერებულან და არგენტინას ლამის წაგებული თამაში შემოუტრიალეს. დავიდენკომ შეძლო რეაბილიტაცია და შაბათის წყვილთა თამაშისგან გადაღლილი ნალბანდიანი მაინც გატეხა. ანგარიში გათანაბრდა.

ფინალის საგზური მეხუთე და გადამწყვეტ შეხვედრაში უნდა გათამაშებულიყო, სადაც ერთმანეთის პირისპირ დელ პოტრო და ანდრეევი წარდგნენ. თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში კი ტარპიშევმა ალბათ ინანა, რომ არც მიხაილ იუჟნი ჰყავდა და არც მარატ საფინი. რომ დელ პოტრომ პირველივე წუთებიდან იგდო ხელთ უპირატესობა და ანდრეევი პატარა ღლაპივით გაასილაქა. დელ პოტრომ აქაც მხოლოდ 7 გეიმი წააგო და არგენტინას ფინალის საგზურიც გაუნაღდა.

„მგონი, სიზმარში ვარ. გუშინ მთელი ღამე არ მიძინია და ამიტომ ეს ახლა მესიზმრება. ჩემს პირველ დევისის თასზე ორივე შეხვედრა მოვიგე — ეს არასოდეს დამავიწყდება" — ემოციისგან ხმა უთრთოდა დელ პოტროს.

ფინალი კი 21-23 ნოემბერს არგენტინაში გაიმართება, სადაც მასპინძლები შეეცდებიან, თავიანთი პირველი დევისის თასი მოიგონ. პატაგონიელები ფინალში აქამდე ორჯერ იყვნენ — 1981 და 2006 წელს — მაგრამ ორჯერვე გასვლაზე მოუწიათ თამაში და დიდწილად ამის გამო წააგეს. თუმც ახლა ფინალს თავად უმასპინძლებენ და გამარჯვების რეალური შანსიც ექნებათ. არგენტინელები ხომ მშობლიურ კედლებში ფაქტობრივად დაუმარცხებელნი არიან — აქ მათ 1998 წლის შემდეგ არ წაუგიათ.

პატაგონიელებს ერთადერთი ის ანაღვლებთ, თუ სად დაუხვდებიან ესპანელებს — 2004 წლის შემდეგ ისინი ყოველთვის ბუენოს აირესის გრუნტზე თამაშობენ, მაგრამ ახლა არგენტინელებს სულაც არ უნდათ ნადალის თიხნარზე დახვედრა და ამიტომ სავარაუდოდ პირინეელებს ჰარდზე თამაშს შესთავაზებენ.

**კახა ლომაშვილი**




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორჩილავა
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge